ვამტკიცებ:
სსიპ ილია წინამძღვრიშვილის
სახელობის კოლეჯის დირექტორი
თეიმურაზ ასათიანი

„_____“ „_____“ _____ წ.

სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯი

2022 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში

დოკუმენტი წარმოადგენს სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის 2022 წლის სამოქმედო გეგმის ანგარიშს. მისი შემუშავების საფუძველია კალენდარული წლის მანძილზე კოლეჯის ადმინისტრაციის წევრთა მიერ წარმოდგენილი ანგარიშები. დოკუმენტში ასახული ინფორმაცია თანხვედრაშია დამტკიცებულ გეგმასთან - მიზნის, ამოცანებისა და ინდიკატორების შესაბამისად.
სამოქმედო გეგმის განხორციელების ეტაპზე, პროცესის კონტროლის მექანიზმის გამოყენებით მოწმდება თუ რამდენად კარგად მუშაობს წლიური სამოქმედო გეგმა, მიიღწევა თუ არა სასურველი მაჩვენებლები და რა ცვლილებებია გასატარებელი მათ მისაღწევად. დაგეგმილი აქტივობების განხორციელების ეფექტურობა დამოკიდებულია ადმინისტრაციული და სასწავლო პერსონალის, პროფესიული სტუდენტების, პარტნიორთა სქტიურ ჩართულობაზე, თანამშრომლობისა და საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზის საფუძველზე. აგრეთვე, კვლევების, ჯგუფებში მუშაობის მიღებული შედეგების გაერთიანების შედეგად, წინა წლის/ების სამოქმედო გეგმების შეფასების, შედეგების, ანალიზის, ანგარიშებისა და დასკვნების გათვალისწინებით და სხვა აპრობირებული მეთოდოლოგიით.
2022 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში საჯარო დოკუმენტია, რომლის საშუალებითაც კოლეჯი ცდილობს ყველა დაინტერესებულ მხარეს გაუზიაროს მიღწეული ან/და შემდგომში მისაღწევი მიზნები და ჩართოს ისინი კოლეჯის საქმიანობის შეფასებასა და შემდგომი სრულყოფის პროცესებში.

მიზანი 1. ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება

ამოცანა 1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შერჩევა

თვისებრივი კვლევის შედეგად დადგინდა უახლესი სამი წლის განმავლობაში შრომის

ბაზარზე მოთხოვნადი პროფესიები, კერძოდ, სოფლის მეურნეობის დარგებთან გამოიკვეთა - ,,აგრომექანიზაცია“.
უკანასკნელ ათწლეულში აგროსექტორში მიღწეული პროგრესის მიუხედავად, ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად კვლავ სოფლის მეურნეობის მექანიზაციის პრობლემები რჩებოდა. მით უმეტეს, როგორც კოვიდ პანდემიურმა პერიოდმა აჩვენა, აგრარული სექტორი ეკონომიკის თვითკმარობის პრიორიტეტულ მიმართულებადაც უნდა მივიჩნიოთ. ამ თვალსაზრისით, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, სოფლის მეურნეობის მექანიზაციის თანადაფინანსების 50 მილიონი ლარის ღირებულების მასშტაბური პროგრამის დაწყება, არის ძალზე მნიშვნელოვანი ქვეყნის ეკონომიკის სტიმულირებისათვის. მექანიზაციის განვითარების ახალი პროგრამა გათვლილია როგორც მცირე, ისე საშუალო და მსხვილი ფერმერული მეურნეობების მხარდასაჭერად. ნიშანდობლივია, რომ სოფლის განვითარების 10-წლიანი გეგმით, სოფლის მეურნეობის მექანიზაციის კუთხით, სახელმწიფოს თანადაფინანსების პროექტი მომდევნო წლების განმავლობაში გაგრძელდება.
ყველასათვის ცნობილია, რომ „აგრომექანიზატორის“ სპეციალობა „მივიწყებულია“ როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ, როგორც „არა მოთხოვნადი“ სპეციალობა. ამ დროს, საქართველო, ოდითგანვე როგორც აგრარული ქვეყანა, ჯეროვნად ვერ უზრუნველყოფს ქვეყნის სასურსათო ბაზრის დაკმაყოფილებას აგროტექნიკური ბაზის ნაკლებობის გამო. ამას ემატება ტექნიკის ოპერატორი „მექანიზატორების“ სპეციალური პროფესიული განათლების არქონა. სწორედ აღნიშნულ კონცეფციაში უნდა განვიხილოთ, აგრარული დარგისა და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მომსახურე ოპერატორის კომპლექსური სწავლება-მომზადების აუცილებლობა.

სსიპ ილია წინაძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის ძირითადი სწავლების პროფილია აგრარული მიმართულების სპეციალობები (ასევე, სწავლება მიმდინარეობს მომსახურების სფეროს სპეციალობებზეც), რისთვისაც კოლეჯს გააჩნია 20 ჰექტარი მიწის ფართობი, სადაც გაშენებულია აგრარული სპეციალობების შესაბამისი როგორც ერთწლიანი (ბოსტნეული), ასევე მრავალწლიანი (კენკროვანი, კურკოვანი, თესლოვანი და ვაზი) სასოფლო-სამეურნეო ნარგაობა.
საანგარიშო წელს კოლეჯის მიერ გაგრძელდა ტრადიციული აგრარული დარგების პოპულარიზაცია. შედეგად, შერჩეული იქნა რეგიონისათვის და ასევე სრულიად საქართველოსთვის მოთხოვნადი პროფესიული განათლების სპეციალობა - მოდულური პროგრამა "აგრომექანიზაცია". პროგრამა ორიენტირებულია სოფლის მეურნეობის სფეროში შრომის ბაზრის მოთხოვნაზე, კვალიფიციური და კონკურენტუნარიანი ადამიანური რესურსის განვითარებაზე.

შესრულების ინდიკატორები - შესაბამისობაში („აგრომექანიზაციის“ პროგრამის დამატების დასაბუთებული მოთხოვნა-განაცხადი გაიგზავნა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში, მისი შემდგომი პროგრამული ავტორიზაციის მიზნით)

ამოცანა 2. შერჩეული პროგრამების დამატება/ავტორიზაციის პროცედურების გავლა (მოდულური, დუალური, ინტეგრირებული მიდგომით)

გადაწყვეტილება შერჩეული პროგრამების „აგრომექანიზაცია და „აღმზრდელი“ განხორციელების შესახებ შეესაბამება კოლეჯის მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას. კერძოდ, კოლეჯი მრავალპროფილური დაწესებულებაა, თუმცა მისის ძირითადი სწავლების მიმართულებაა აგრარული დარგების სწავლება და განვითარება, სტრატეგიული განვითარების გეგმით კოლეჯის ხედვა მოიცავს 2020-2027 წლებში მცხეთა-მთიანეთის რეგიონში პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის ხელშეწყობას.

მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „აგრომექანიზაცია“ განხორციელდება მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. წინამძღვრიანთკარის ძირითადი სასწავლო კორპუსის ბაზაზე. პროგრამის დამატების მიზნით კოლეჯის მიერ შერჩეული იქნა პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლები, რომელთაგან არიან ტექნიკის მეცნიერებათა და აკადემიური დოქტორები სოფლის მეურნეობის მექანიზაციის მიმართულებით; სამუშაო შეხვედრებზე განხორციელდა პროგრამის ადაპტირება და შემუშავებული იქნა სასწავლო გეგმა; განხორციელდა არსებული მატერიალური რესურსის ანალიზი - კოლეჯი ფლობს სხვადასხვა სახის სასოფლო-სამეურნეო აგრეგატებს, 2 ერთეულ სასოფლო-სამეურნეო ტრაქტორს, ხელის ბენზო კულტივატორებს და სხვა. განისაზღვრა შესყიდვის ობიექტები. მათ შორის, შესყიდულია სხვადასხვა სახის სასოფლო-სამეურნეო აგრეგატი და მანქანა-დანადგარი, როგორიცაა: პლასტიკური მულჩის დამგები მანქანა, კბილებიანი ფარცხი, კარტოფილის სარგავი, სათესი (მარცვლეული კულტურის), ორგანული სასუქის შემტანი, წნეხამკრეფი, ასაკიდებელი/მისაბმელი დისკური ფარცხი, ჩიზელური გუთანი, სათიბელა(როტორული), კბილებიანი ფარცხი, კარტოფილის ამღები, ბაღის საწამლი. გარდა აღნიშნულისა, შესყიდულია დიდი სიმძლავრის სასოფლო-სამეურნეო ტრაქტორი БЕЛАРУС 952, 89 ცხ.ძალა.

მოდულურმა პროგრამამ „აგრომექანიზაცია“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით 2022 წელს ავტორიზაცია გაიარა წარმატებით. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობა განისაზღვრა - 15 სტუდენტით. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში კოლეჯს პარტნიორობას უწევს შპს „დვალეთი“, რომელიც ოპერირებს სოფლის მეურნეობის მექანიზაციის მიმართულებით.

შესრულების ინდიკატორები - შესაბამისობაში (პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება მოდულური პროგრამის „აგრომექანიზაცია“-ს დამატებასთან დაკავშირებით, გაფორმებული მემორანდუმი)

ამოცანა 3. სკოლის მოსწავლეებში პროფესიული უნარების განვითარების ქვეპროგრამაში მონაწილეობა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ა(ა)იპ „პროფესიული უნარების სააგენტოს“ ინიციატივით გრძელდება „სკოლის მოსწავლეებში პროფესიული

უნარების განვითარების“ ქვეპროგრამის განხორციელება. როგორც წესი, სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯი ყოველწლიურად იღებს მონაწილეობას შესაბამის კონკურსში და წარადგენს სკოლის მოსწავლეებში იმ პროფესიული უნარების განმავითარებელ პროგრამებს, რომლებიც წარმატებით ხორციელდება კოლეჯის ბაზაზე. აღნიშნულ ქვეპროგრამაში მონაწილეობა წლიური სამოქმედო გეგმის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს და რამდენიმე განსხვავებული მიზნის მიღწევაზეა ორიენტირებული, კერძოდ:

- მოსწავლეებში პროფესიული უნარების განვითარების ხელშეწყობა;
- პროფესიაში საკუთარი ძალების მოსინჯვა, გაანალიზება და ინფორმირებული კარიერული გადაწყვეტილების მიღება;
- შემდგომი განათლების მიღების სტიმულირება;
- პროფესიული განათლების პოპულარიზაცია და ხელმისაწვდომობა;
- საჯარო სკოლების შესაძლებლობების გაძლიერება;
- საჯარო სკოლებისა და პროფესიული კოლეჯების თანამშრომლობის ხელშეწყობა
- კოლეჯისათვის ახალი სტუდენტების მოძიება.

კოლეჯის მიერ წარდგენილი იქნა განაცხადი პროფესიული უნარების განვითარების კურსებზე: 1. სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი; 2. მეხილეობა. (ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოსა და სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯს შორის 2022 წლის 21 ოქტომბრს გაფორმდა ხელშეკრულება N58/მ პროგრამების განხორციელებისა და დაფინასების თაობაზე.

ზემოაღნიშულ პროფესიული უნარების განვითარების კურსებში მონაწილეობის მიღებაზე დაინტერესება გამოთქვეს მცხეთის, დუშეთისა და თიანეთის მუნიციპალიტეტის შემდეგმა საჯარო სკოლებმა:

კურსი - სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი

1. სსიპ ბონდო როსტიაშვილის სახელობის მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ქსნის საჯარო სკოლა - 10 მოსწავლე;
2. მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ქსოვრისის საჯარო სკოლა - 10 მოსწავლე;
3. მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ძეგვის საჯარო სკოლა - 9 მოსწავლე.

კურსი - მეხილეობა

1. სსიპ ნიკო ბაგრატიონის სახელობის მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხრანის №1 საჯარო სკოლა - 10 მოსწავლე;
2. სსიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის №1 საჯარო სკოლა - 10 მოსწავლე;
3. სსიპ დავით გურამიშვილის სახელობის მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფ. საგურამოს საჯარო სკოლა - 10 მოსწავლე;
4. სსიპ ბონდო როსტიაშვილის სახელობის მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ქსნის საჯარო სკოლა - 10 მოსწავლე;
5. სსიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ქსოვრისის საჯარო სკოლა - 10 მოსწავლე;
6. სსიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ძეგვის საჯარო სკოლა - 10 მოსწავლე;
7. სსიპ თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ახალსოფლის საჯარო სკოლა - 10

მოსწავლე;

8. სსიპ თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ზარიძეების საჯარო სკოლა - 18 მოსწავლე;
9. სსიპ თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ნაქალაქარის საჯარო სკოლა - 5 მოსწავლე;
10. სსიპ თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფ. სიონის საჯარო სკოლა - 7 მოსწავლე;
11. სსიპ თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ხევსურთსოფლის საჯარო სკოლა - 10 მოსწავლე;

პროგრამის ფარგლებში, საჯარო სკოლის მოსწავლეები ესტუმრნენ და ადგილზე გაეცნენ კოლეჯის სასწავლო კორპუსს, ინფრასტრუქტურას, სასწავლო-პრაქტიკის ობიექტებს.

შესრულების ინდიკატორები - შესაბამისობაში (ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოსა და სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯს შორის 2022 წლის 21 ოქტომბრის N58/მ ხელშეკრულება, დამტკიცებული პროგრამები; კურსებში მოსწავლეთა ჩართვის ამსახველი დოკუმენტაცია;, სერთიფიკატები)

ამოცანა 4. სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მოკლევადიანი ტრენინგ-კურსების განხორციელება

2022 წელს, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მოკლევადიანი კურსების განხორციელებასა და პროგრამის დაფინანსებაზე კოლეჯს მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამაში ჩართვა არ განხორციელებულა. მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია/რეაბილიტაციის ხელშეწყობა პროფესიული განათლების უზრუნველყოფის, ასევე პროფესიული მომზადება/ გადამზადების და დასაქმებისათვის სსიპ პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრთან ერთად დაიგეგმა მომავალი 2023 წლის თანამშრომლობის გეგმა მსჯავრდებულთა პროფესიული შესაძლებლობებისა და საჭიროებების დადგენის და მსჯავრდებულთა საჭირო სერვისებით უზრუნველყოფის განსახორციელებლად.

შესრულების ინდიკატორები - მეტწილად შესაბამისობაში (კოლეჯის 2023 წლის სამოქმედო გეგმაში შეტანილია საკითხი აღნიშნული პროექტის განხორციელების უზრუნველსაყოფად. სსიპ პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრთან ერთად განისაზღვრება პენიტენციურ დაწესებულებებში 2023 წელს ჩასატარებელი სასწავლო კურსები, განიხილება პროგრამების ავტორიზაციისა და დაფინანსების საკითხები).

ამოცანა 5. მოკლევადიანი მომზადებისა და გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვება/დადასტურება

საქართველო თაფლის ტრადიციული მწარმოებელი ქვეყანაა. საქართველოში გავრცელებულია რამდენიმე ადგილობრივი სახის თაფლი, რომელთაგან აღსანიშნავია: აკაციის თაფლი, წაბლის თაფლი, მდელოს თაფლი და სხვა. ქართული თაფლის ძირითადი უპირატესობებია: შესანიშნავი ბუნებრივი გარემო, კლიმატი და ფლორა, ხელსაყრელი მდებარეობა მდებარეობა შავი ზღვის რეგიონში. მაგრამ თანამედროვე ტექნოლოგიების ნაკლებობა, დაბალი მწარმოებლურობა და ხარისხი, ასევე

საერთაშორისო სტანდარტებთან შეუსაბამობა, ქართული თაფლის მთავარ ნაკლოვანებებად შეიძლევა ჩაითვალოს. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ქართული პროდუქციის წარმოებისა და შეფუთვის ხარისხი დაბალია, რაც აუცილებელია პირდაპირი გაყიდვებისთვის საკონდიტრო და საკვები პროდუქციის ინდუსტრიაში. საქართველოსთვის თაფლს მაღალი ეკონომიკური ღირებულება აქვს და დიდი შემოსავლის მოტანა შეუძლია. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო არ არის დიდი მოთამაშე მსოფლიო თაფლის ბაზარზე, მას აქვს პოტენციალი, რომ იყოს თაფლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ექსპორტიორი ქვეყანა.

დღესდღეობით საქართველოში თაფლის წარმოებით ძირითადად მცირე და საშუალო მეფუტკრეები არიან დაკავებულნი. თაფლის წარმოება და რეალიზაცია პრიმიტიულ დონეზეა და ახასიათებს მასშტაბის უარყოფითი ეფექტი. პროდუქტიულობის დაბალი დონე განპირობებულია კვების არასათანადო პრაქტიკით და პარაზიტების წინააღმდეგ ბრძოლის არაადეკვატური ზომებით.
საქმიანობაში ჩართულნი ძირითადად თვითნასწავლი პირები არიან. უკანასკნელ პერიოდში, მცხეთ-მთიანეთის რეგიონისათის „მეფუტკრეობის“ დარგი ერთ-ერთ მზარდ დარგს წარმოადგენს. მცირე ფერმერთა დაინტერესება აწარმოოს ხარისხიანი თაფლი მათი მომზადება-გადამზადების გარეშე შეუძლებელია. ამ მნიშვნელოვანმა ფაქტორმა განაპიროება სწავლების ინტერესების თანხმედრა კოლეჯსა და ფერმერთა შორის.
გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, დღის წესრიგში აქტიურად მეფუტკრეობის მიმართულებით პროფესიონალი კადრების მომზადება-გადამზადების საკითხი, რასაც ხელი შეუწყო კოლეჯის პარტნიორმა დონორმა ორგანიზაციებმა და სსიპ “უნარების სააგეტოს“ აქტიურმა ჩართულობამ პროგრამების განსახორციელებლად დაფინანსების მოპოვებაში.

,,გაეროს განვითარების პროგრამის“ (UNDP) პროექტის მზარდაჭერით ჩატარებული ზემოაღნიშნული შრომის ბაზრის კვლევის შედეგად დადგინდა, რომ მნიშვნელოვანია პროფესიული საგანმანათლებლო, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების აუცილებლობა. თუმცა, ამის არც ინსტიტუციური და არც რესურსული (მათ შორის ადამიანური) შესაძლებლობები მცხეთა-მთიანეთის სამივე მუნიციპალიტეტში არ არსებობდა.
წინასწარი მოლოდინი, რომ ძირითადად მოთხოვნადი იქნებოდა აგრარული მიმართულებით პროფესიები, ნაცვლად ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისათვის საჭირო სპეციალობებისა, გამართლდა. სოფლის მეურნეობა და აგროწარმოების სექტორი ეტაპობრივად მიმზიდველი ხდება არამარტო სოფლად მაცხოვრებლებში, არამედ დიდი დაინტერესება ჰპოვა ქალაქად მცხოვრებლებს შორისაც. ამას ემატება ის ფაქტორიც, რომ „მეფუტკრეობის“ პროფესია არის თვითდასაქმებადიც.

რაც შეეხება ტრაქტორის მართვისა და ნიადაგის დამუშავებისათვის სპეციალისტების მომზადების მოთხოვნილებას, აღნიშნული საკითხზე კოლეჯს მკაფიოდ აქვს ჩამოყალიბებული მზაობა „აგრომექანიზაციის“ პროფესიული პროგრამის

განსახორციელებლად, რაზედაც მიღებულია პროგრამული ავტორიზაცია.

ზემოაღნიშული აქტუალური საკითხების განსახორციელებლად, შემუშავდა მოკლევადიანი პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამები: „ფუტკრის დაავადებების მკურნალობა და პროფილაკტიკა“, „ტრაქტორის მართვა და ნიადაგის დამუშავების” ხოლო მისი წარმატებით განსახორციელებლად კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა სრულად აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს.

- ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს მხარდაჭერით ივნის-ივლისის თვის პერიოდში განხორციელდა მოკლევადიანი მომზადება-გადამზადების კურსი „ფუტკრის დაავადებების მკურნალობა და პროფილაქტიკა“. სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებამ შეადგინა 1,662 ლარი. პროგრამას ჰყავს 8 კურსდამთავრებული;
- ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს მხარდაჭერით სექტემბერ-დეკემბრის თვის პერიოდში განხორციელდა მოკლევადიანი მომზადება-გადამზადების კურსი „ფუტკრის დაავადებების მკურნალობა და პროფილაქტიკა“. სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებამ შეადგინა 4,047 ლარი. პროგრამას ჰყავს 7 კურსდამთავრებული;
- ,,გაეროს განვითარების პროგრამის” (UNDP) მხარდაჭერით სექტემბერ-დეკემბრის თვის პერიოდში განხორციელდა „ტრაქტორის მართვა და ნიადაგის დამუშავება” მოკლევადიანი მომზადება-გადამზადების კურსი. დაფინანსებამ შედგინა 13,436 ლარი; პროგრამას ჰყავს 9 კურსდამთავრებული

იმის გათვალისწინებით, რომ შრომისა და სასურსათო ბაზარზე იკვეთება მოთხოვნა აგრარულ დარგში თვითდასაქმებულთა პროფესიული განათლების მიღების აუცილებლობის კუთხით, კოლეჯი გააძლიერებს მუშაობას და თვითცნობადობის ამაღლებას რეგიონის მცხოვრებთა შორის მომზადება/გადამზადების პროგრამებში ჩართულობასთან დაკავშირებით.

შესრულების ინდიკატორები - მეტწილად შესაბამისობაში (დონორ ორგანიზაციებთან გაფორმებული ხელშეკრულებები და მოპოვებული დაფინანსება 3 პროექტზე. გაცემული სერთიფიკატები; კოლეჯი გააძლიერებს მუშაობას ბაზარზე მოთხოვნადი ახალი პროგრამების განსახორციელებლად)

მიზანი 2: პროგრამების გაუმჯობესებაზე ზრუნვა

ამოცანა 1. 2022 წელს სტუდენტებისა და მსმენელების მიღება-ჩარიცხვა

2022 წელს, კოლეჯის სამივე ფილიალში, სოფ. წინამძღვრიანთკარის ძირითად, დაბა თიანეთისა და სტეფანწმინდის დამატებით სასწავლო ფართებში, პროფესიულ სტუდენტთა მიღება გამოცხადდა 24 პროფესიულ პროგრამაზე, სულ 334 ადგილით.

კოლეჯში პირველადი რეგისტრაციით დარეგისტრირდა 416 აპლიკანტი, ხოლო ჩაირიცხა 188 სტუდენტი. მეორადი რეგისტრაციით დარეგისტრირდა 72 აპლიკანტი,

ჩაირიცხა 50 სტუდენტი, სულ 238 სტუდენტი. მათ შორის, სსსმ პირი - 4 სტუდენტია.

ამოცანა 2. შერჩეული პროგრამების შეფასება/შეცვლა გაუმჯობესება

პროფესიული პროგრამების შეფასება/შეცვლის გაუმჯობესების მისაღწევად, სატყეო საქმის პროგრამის ხელმძღვანელის ინიცირებით და კოლეჯის დირექტორის უშუალო მხარდაჭერით, განხორციელდა „სატყეო საქმის“ პროფესიული პროგრამის ძირეული ცვლილება, კერძოდ, პროგრამა შიცვალა როგორც შინაარსობრივად, ასევე შედგა მოდულების გაყოფა/დამატება, კვალიფიკაციის ცვლილება და სასწავლო რესურსის დამატება.

პროგრამა ახალი რედაქციით წარდგენილი იქნა განათლების ხარისხის განვითარების ცენტრში დასამტკიცებლად. აღნიშნულთან დაკავშირებით სამუშაო შეხვედრები მიმდინარეობდა ეროვნული სატყეო სააგენტოს ჩართულობით. ამასთან, კოლეჯმა გამოსცა სახელმძღვანელო „მეტყევის მეგზური“ (ავტორები: თეიმურაზ ასათიანი, ვალოდია ზედგინიძე). სახელმძღვანელო ზუსტად ასახავს იმ სასწავლო მასალას, რაც გაწერილია პროგრამით გათვალისწინებულ მოდულებში.

2023 წლისათვის დაგეგმილია ვეტერინარიის, მევენახეობა-მეღვინეობისა და მეფუტკრეობის პროფესიული პროგრამების ცვლილება, რადგან სასწავლო პროცესზე დაკვირვებითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით, გამოიკვეთა საჭიროება რიგი მოდულების ცვლილების, ისეთის როგორიც არის რამდენიმე მოდულში სწავლის შედეგების განმეორების (მევენახეობა-მეღვინეობა) და სხვ.

შესრულების ინდიკატორები: შესაბამისობაში (განახლებული პროგრამა, გამოცემული სახელმძღვანელო).

ამოცანა 3. პროგრამის ფარგლებში არსებული მატერიალური რესურსისა და სასწავლო რესურსის გადახედვა-გაუმჯობესებაზე ზრუნვა

მასწავლებლების ინიციატივის ერთობლივად განხილვის საფუძველზე, მიმდინარე პროფესიული პროგრამების ფარგლებში, თანამედროვე ლიტერატურით განახლდა სასწავლო რესურსი, კერძოდ, დაემატა როგორც დარგობრივ, ისე ზოგად მოდულებში. პროფესიულ მასწავლებლებს მიეცათ რეკომენდაცია პერიოდულად წარმოადგინონ ლიტერატურის საჭიროების შესახებ ინიციატივა.

მატერიალური რესურსები ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული პროგრამისათვის. სახარჯი მასალის თაობაზე მოთხოვნები წესისამებრ წარედგინება ლოჯისტიკისა და შესყიდვების ჯგუფს, შემდგომი უზრუნველყოფის მიზნით.

შესრულების ინდიკატორები: შესაბამისობაში (შესყიდვების ხელშეკრულებები, მიღება-ჩაბარების აქტები).

ამოცანა 4. კურსდამთავრებულებისა და მსმენელებისათვის დიპლომებისა და სერთიფიკატების მომზადება, დანართების მომზადება, გადაცემა

1. პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტი - დიპლომი გადაეცა 104 კურსდამთავრებულს;
2. მოკლევადიანი მომზადება-გადამზადების პროფესიული კურსის „ფუტკრის

დაავადებების მკურნალობა და პროფილაქტიკა“ ფარგლებში გაიცა 15 სერთიფიკატი;

3. მოკლევადიანი მომზადება-გადამზადების პროფესიული კურსის „ტრაქტორის მართვა და ნიადაგის დამუშავება” ფარგლებში გაიცა 9 სერთიფიკატი.

შესრულების ინდიკატორები: შესაბამისობაში (გაცემული დიპლომები, სერთიფიკატები).

ამოცანა 5: სასწავლო პროცესის შეფასება, გაუმჯობესება

სასწავლო პროცესში არსებული პრობლემებისა და გამოწვევების აღმოფხვრის მიზნით, თითოეული პროგრამისა და მოდულის ფარგლებში მიმდინარე წელს ხორციელდებოდა მონიტორინგი და შეფასება შესაბამისი კითხვარის საშუალებით:
(https://docs.google.com/forms/d/e/1FAIpQLScwDGNLSYf-WHiOg52Ub3roH-dgEYtkTiUXAP6kRyRb1KgMcw/viewform?vc=0&c=0&w=1&flr=).

აღნიშნული კითხვარი მოიცავდა ისეთ შეკითხვებს, რომელებიც მიზანმიმართული იყო სასწავლო პროცესის გაუმჯობესებაზე. მაგალითად, რამდენად ითვალისწინებდა პროფესიული პედაგოგი მოდულით გათვალისწინებულ თემებსა და საკითხებს, მიჰყვებოდა თუ არა კალენდარულ გეგმას, აღრიცხავდა თუ არა გაცდენებს და ზოგადად, სალექციო პროცესი რამდენად მორგებული იყო სტუდენტთა ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს. რა სასწავლო მეთოდებს იყენებდა სწავლა-სწავლების პროცესში პროფესიული პედაგოგი და რამდენად ინტერაქციულად მიმდინარეობდა სალექციო რეჟიმი. ხელმძღვანელობდა თუ არა, სპეციალური საგანამანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებთან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით და მათზე ადაპტირებული მეთოდებით.

გარდა საკონტაქტო საათებისა, დასწრება ხორციელდებოდა შეფასების პროცესზე როგორც „გამოკითხვის“, ასევე „პრაქტიკული დავალება დაკვირვებით“ მიმდინარეობისას. აღნიშნულის მიზანს წარმოადგენდა, თუ რამდენად გამჭირვალედ და ობიექტურად აფასებდა პედაგოგი სტუდენტებს. სალექციო პროცესზე დასწრება მიმდინარეობდა ყოველ დღე, წინასწარ გაწერილი გეგმა-გრაფიკის მიხედვით სასწავლო პროცესის მენეჯერისა და ხარისხის მართვის სპეციალისტის მიერ. გამოკვეთილი პრობლემური საკითხებიდან გამომდინარე, თითოეულ პედაგოგს სიტყვიერად ან წერილობითი სახით ეძლეოდა რეკომენდაცია/უკუკავშირი სასწავლო პროცესის მიმდინარეობასთან დაკავშირებით.

აღნიშნული პრაქტიკის დამკვიდრება და განხორციელება ორიენტირებული იყო მხარდაჭერასა და დახმარებაზე. ყოველი კვირის ბოლოს გამოკვეთილ პრობლემურ საკითხებთან დაკავშირებით იგეგმებოდა შეხვედრები პროფესიული პედაგოგებისსაგან შემდგარ 4 კაციან ჯგუფებში, სადაც განიხილებოდა არსებული ხარვეზების გაუმჯობესებისა და გამოსწორების გზები.

ჩატარდა პროფესიული მასწავლებლებისა და სტუდენტების საჭიროებებისა და კმაყოფილების კვლევა, რომელთა მიზანსაც წარმოადგენდა დაგვედგინა მათი

სჭიროებები და შეგვემუშავებინა კონკრეტული აქტივობები, რომელიც ხელს შეუწყობდა პროფესიული პედაგოგებისა და სტუდენტების უფრო ხარისხიან ჩართულობას სწავლა-სწავლების პროცესში. აღნიშნული კვლევები იყო ანონიმური, შესაბამისად, რესპოდენტთა პასუხების სანდოობა და ობიექტურობა უფრო მაღალი იყო, რაც მეტ შესაძლებლობას იძლეოდა რეალურად დაგვენახა და შეგვეფასებინა სტუდენტთა და პედაგოგთა საჭიროებები. შეგროვებული ინფორმაციის შესაბამისად, ჩატარდა ანალიზი და შედეგები აისახა კვლევის ანგარიშში. შედეგად, შემუშავდა რეკომენდაციები, რომელთა ნაწილიც შესრულდა 2022 წელს, ნაწილი კი 2023 წლის განამვლობაში განხორციელდება.

სასწავლო პრცესის გაუმჯობესების მიზნით მოეწყო და თანამედროვე ტექნიკით აღიჭურვა ქიმიისა და ფიზიკის ლაბორატორიები, როგორც წინამძღვრიანთკარის ასევე, დაბა თიანეთის სასწავლო ფართში. ასევე, რამდენიმე პროგრამის ფარგლებში სასწავლო რესურსების მიმართულებით განხორციელდა ცვლილებები. შეიცვალა სასწავლო ლიტერატურა, მოდულების თემატიკიდან და საკითხებიდან გამომდინარე. აღნიშნული ინიციატივა გამოიჩინეს პროფესიულმა პედაგოგებმა სამუშაო შეხვედრების დროს და არგუმენტირებულად წარმოადგინეს თავისი მოსაზრება, თუ რამ განაპირობა მოდულებში ცვლილებების შეტანა.

შესრულების ინდიკატორები: შესაბამისობაში (პროგრამებში ცვლილების აქტები, შეხვედრების დასწრების ფურცლები, გეგმა-გრაფიკები, შეფასების კითხვარები, მომზადებული ანგარიშები).

ამოცანა 6. ახალი პრაქტიკის ობიექტების მოძიება არსებული პროგრამებისთვის (საჭიროების შემთხვევაში)

დუალური პროგრამების ეფექტურად განსახორციელებლად საანგარიში წელს გაფორმდა თანამშრომლობის ხელშეკრულებები ახალ პარტნიორ საწარმოებთან:

- მევენახეობა და მეღვინეობის დუალური პროგრამა - შპს „მარანი სევსამორა“ (02.09.2022);
- მებაღეობის დუალური პროგრამა - „საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღი“ (07.09.2022)
- ვეტერინარიის დუალური პროგრამა - კლინიკა „მეი ჰიუ საქართველო“ (03.06.2022);
- კულინარიის ხელოვნების დუალური პროგრამა - „ზერო ვაინ ბარი“ (2022 წლის 10 მაისი); შპს „აი ღვინის სახლი - VINOTEL“ (04.06.2022)

ახალ პარტნიორ საწარმოთა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა აკმაყოფილებს პროგრამით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

პარტნიორი ორგანიზაციების ძიება და შედეგზე ორიენტირებული თანამშრომლობა კოლეჯის სტრატეგიული კურსის შემადგენელი ნაწილია. ამიტომ, აღნიშნული აქტივობები გაგრძელდება მომავალ 2023 საანგარიშო წელსაც.

ამასთან, დუალური პროგრამების განსახორციელებლად განახლდა პარტნიორებთან გაფორმებული ხელშეკრულებები:

- რძის პროდუქტების წარმოება: „ჩვენ ფერმერი“ (14.02.2022); შპს „რესპუბლიკა“ (31.03.2022); სამეურნეო კოოპერატივი „რკ ყვარის მთა“ (14.02.2022); შპს „ქართული რძის კომპანია“ (31.03.2022); ამხანაგობა „თიანეთი“ (14.02.2022) კოოპერატივი „მთია“ (14.02.2022);
- კულინარიის ხელოვნება: შპს „მშვიდობა 91 - რესტორანი „ლორდი“ (31.03.2022); რესტორანი „გერმანული პაბი“(31.03.2022);
- მევენახეობა და მეღვინეობა: შპს „39 ქვევრი“ (31.03.2022); შპს „კახური ტრადიციული მეღვინეობა“ (14.02.2022); შპს „საგურამო ესთეითი“ (31.03.2022); ფ/პ რევაზ სანიკიძე (14.02.2022);
- ვეტერინარია: შპს „ნიუ ვეტი“ (14.02.2022); შპს „ხორცპროდუქტების სერვისი“ (07.04.2022); ი/მ ზურაბ ბორცვაძე (02.05.2022);
- მებაღეობა: ი/მ ნიკოლოზ სინაძე (14.02.2022);
- მეხილეობა: ი/მ თამარ ღანიშაშვილი (14.02.2022); ფ/პ ომარ ქუცნაშვილი (14.02.2022);
- ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავება: გსქ „კულა“ (14.02.2022);
- სასტუმრო მომსახურეობა: სასტუმრო “KETINOS’s HOME” (31.03.2022); სასტუმრო „თაუერ ყაზბეგი“ (31.03.2022).

აქტიურად მიმდინარეობს ახალი პრაქტიკის ობიექტების მოძიება და სასწავლო პროგრამებში ჩართვის პროცესი.

შესრულების ინდიკატორები: შესაბამისობაში (გაფორმებული ხელშეკრულებები)

ამოცანა 7. პროგრამის ხელმძღვანელების შერჩევა და დანიშნვა ახალ პროგრამებზე, არსებულის შეფასება

ახალ პროფესიულ პროგრამებზე პროგრამის ხელმძღვანელების შერჩევა და დანიშვნა მიმდინარეობდა მათი განათლებისა და სამუშაო გამოცდილების შესაბამისად. მაგალითად: „აღმზრდელის“ პროგრამაზე შეირჩა უფრო კომპეტენტური პირი, რომელიც სრულად აკმაყოფილებს პროგრამის ხელმძღვანელის მოთხოვნებს.

შესრულების ინდიკატორები: შესაბამისობაში (გაფორმებული ხელშეკრულებები).

ამოცანა 8. პროგრამების დისტანციურ რეჟიმში განხორციელებაზე ზრუნვა

გამომდინარე იქიდან, რომ საანგარიშო წელს COVID-19 პანდემიის რეგულაციები არ მოქმედებდა და პროფესიული დაწესებულებები არ სარგებლობდენ დისტანციური სწავლების მეთოდის გამოყენებას, კოლეჯი განაგრძობდა სწავლებას აუდიტორიაში დასწრებითი ფორმით.

საჭიროების სემთხვევაში, კოლეჯს აქვს სრული მზაობა ტექნიკური მხარდაჭერა გაუწიოს პროფესიულ პედაგოგებს და უზრუნველყოს სასწავლო ცხრილის მოდერნიზაცია, რათა კონკრეტული მოდულებისათვის დისტანციურად წარიმართოს სასწავლო პროცესი.

შესრულების ინდიკატორები: შესაბამისობაში (მატერიალურ-ტენიკური ბაზა).

ამოცანა 9. ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების ხელშეწყობა

2022 წლის 15 ივლისს გაიმართა პროფესიული უნარების სააგენტოს, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების დეპარტამენტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტის, გაეროს განვითარების პროგრამის და პროფესიული სასწავლებლების წარმომადგენელთა შეხვედრა პროფესიული სასწავლებლების ეკონომიკური საქმიანობის შესაძლებლობების თაობაზე. შეხვედრის მიზანი იყო ეკონომიკური საქმიანობის საკანონმდებლო ბაზის, ეკონომიკური საქმიანობის შესაძლებლობების და გამოწვევების, ეკონომიკური საქმიანობის დანერგვის სამოქმედო გეგმის მიმოხილვა. შეხვედრა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში, საქართველოს მთავრობის N3, 2022 წლის 12 იანვრის დადგენილების ირგვლივ დაგროვილ ბუნდოვან საკითხებთან დაკავშირებით.

პროფესიულ სასწავლებელს აქვს შესაძლებლობა ეკონომიკური საქმიანობა აწარმოოს მათთვის მისაღები ფორმით: კოლეჯის ბაზაზე შეიქმნას დეპარტამენტი ეკონომიკური საქმიანობის მიმართულებით, წარმოების გაზრდის შემდეგ დააფუძნოს სხვა იურიდიული პირი. ეკონომიკური საქმიანობის, ნებისმიერი ფორმით წარმართვის პროცესში მნიშვნელოვანია პროფესიული განათლების შესახებ კანონის, შესყიდვების კანონის, საქართველოს მთავრობის N3, 2022 წლის 12 იანვრის დადგენილების გათვალისწინებით მიმდინარეობს მუშაობა მთავრობის მიერ ახალი დადგენილების გამოსაცემად და შესყიდვების კანონში ცვლილების შესატანად ,,სპეციალური შესყიდვის წერსის“ ნორმის ამოქმედების თაობაზე, რომელიც პროფესიულ სასწავლებლებს მისცემს შესაძლებლობას დროში შეუფერხებლად მოახდინოს ეკონომიკური საქმიანობისთვის საჭირო საქონლის და მომსახურების შესყიდვა.

სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯმა მყისიერად დაიწყო აღნიშნულ თემაზე მუშაობა. ვინაიდან, კოლეჯი სრულად აღჭურვილია სამკერვალო წარმოებისთვის საჭირო მანქანა დანადგარებით, გადაწყდა, პირველ ეტაპზე მცირე სამკერვალო საწარმოს შექმნა. მეწარმეობის პროფესიულმა მასწავლებელმა წარმოადგინა ბიზნეს-გეგმა, რომელიც ეხებოდა სამკერვალო საწარმოს (მცირე სამკერვალო საწარმო) საინვესტიციო პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკურ დასაბუთებას და აღნიშნული ეკონომიკური საქმიანობიდან კოლეჯისთვის მიღებული სარგებლიანობის ანალიზს. 2022 წლის 30 სექტემბერს ბიზნეს-გეგმა გადაეგზავნა სსიპ პროფესიული უნარების სააგენტოს და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტს განსახილველად. როგორც ჩვენთვის ცნობილია, წარდგენილმა ბიზნეს-გეგმამ დიდი მოწონება დაიმსახურა. კოლეჯი ელის გარკვეულ მითითებებსა და შენიშვნებს აღნიშნული საკითხის ირგვლივ და ნებართვას, რათა მოხდეს აღნიშნული ბიზნეს-გეგმის რეალიზება.

შესრულების ინდიკატორები - შესაბამისობაში (საინვესტიციო პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება, წერილობითი კორესპონდენციები).

მიზანი 3. მატერიალური რესურსის და ინფრასტრუქტურის განვითარება

ამოცანა 1. დაბა თიანეთისა და სტეფანწმინდის ფილიალებში სახანძრო უსაფრთხოების პროცედურების გავლა

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ, კოლეჯის დაბა თიანეთისა და სტეფანწმინდის სასწავლო კორპუსებში საანგარიშო წელს ჩატარდა სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმება და გამოკვლევა. გამოკვლევის შედეგად დადგენილია, რომ შენობების საევაკუაციო გზების და გასასვლელების რაოდენობა აკმაყოფილებს ტექნიკური რეგულირების დოკუმენტების მოთხოვნებს, სოლო ობიექტის ელექტრომოწყობილობების და ელექტროქსელის ზოგადი მდგომარეობა აკმაყოფილებს „ელექტროდანადგარების მოწყობის წესების“ მოთხოვნებს. ობიექტზე დამონტაჟებულია ზონური ტიპის სახანძრო სიგნალიზაცია მიმღებ-მაკონტროლებელი მართვის პანელით. სახანძრო სიგნალიზაციის მართვის პანელი არის ოცდაოთხსაათიანი მეთვალყურეობის ქვეშ. სახანძრო სიგნალიზაციის პანელთან გამოკრულია ინსტრუქცია ხანძრის შესახებ, სიგნალის მიღების ან/და სისტემის გაუმართაობის შემთხვევაში მორიგეს მოქმედების წესი. ხელოვნური დაკვამლიანების იმიტაციის მქონე სახანძრო სიგნალიზაციის გამოსაცდელი ხელსაწყოს დახმარებით შერჩევითი პრინციპით სართულებზე გამოცდილი იქნა კვამლზე მორეაგირე დეტექტორები, გააქტიურებული დეტექტორების სიგნალები მართებულად იქნა აღქმული სახანძრო სიგნალიზაციის მართვის პანელზე, რაც შეესაბამება სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებს. ობიექტზე დამონტაჟებულია ხანძრის დროს ადამიანთა მაუწყებლობისა და ევაკუაციის მართვის სისტემა შესრულებული ტონირებული სიგნალის გადაცემის ფუნქციის მქონე სახანძრო მაუწყებლებით, შენობის სართულებზე ხელის სახანძრო ღილაკების გააქტიურებისას შენობაში აქტიურდება ხმოვანი მაუწყებლის სისტემა. საევაკუაციო გზებზე და გასასვლელებში მოწყობილია საევაკუაციო გზის და გასასვლელების მიმართულების მაჩვენებელი მანათობელი ნიშნები, საევაკუაციო გზებზე არის მოწყობილი ავარიული განათება, შენობის დერეფნებსა და საევაკუაციო გზებზე გამოკრულია ხანძრის დროს ადამიანთა ევაკუაციის გეგმები.

გარდა ზემოაღნიშნულისა, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ, კოლეჯის დაბა თიანეთისა და სტეფანწმინდის სასწავლო კორპუსებში ჩატარებული იქნა ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე შენობა-ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობის დადგენის პროცედურები. მიღებულია დადებითი დასკვნები. აღნიშნულ მომსახურებაზე კოლეჯის სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებიდან დაიხარჯა 3000 ლარი.

შესრულების ინდიკატორები - შესაბამისობაში (სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის აქტები; სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს შენობა-ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობის დადგენის აქტები)

ამოცანა 2. კოლეჯის ინფრასტრუქტურის შეფასება

კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შეფასების მიზნით, კოლეჯში მოქმედებს საინვენტარიზაციო კომისია. კომისია, როგორც წესი იკრიბება წელიწადში არანაკლებ ერთჯერ, რათა შეფასდეს და განისაზღვროს არსებული ძირითადი აქტივებისა და სხვა მცირეფასიანი საშულებების მდგომარეობა, ცალკე გამოიყოს ამორტიზებული ან და გამოყენებისათვის უვარგისი აქტივები, დადგინდეს ბალანსზე მყოფი ქონების ზედმეტობა ან/და დანაკლისი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

პროფესიული საგანმანათლებლო მოდულური ან/და ინტეგრირებული პროგრამების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა მუდმივად საჭიროებს განახლებას. ეს უწყვეტი ციკლი წარმოებს მთელი საბიუჯეტო წლის განმავლობაში. პროგრამების მოდულების განსახორციელებლად სახარჯი მასალის შესყიდვა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

კოლეჯი მუდმივად ზრუნავს ადმინისტრაციის, დამხმარე პერსონალის, პროფესიული მასწავლებლებისა და სტუდენტებისათვის, სწავლისა და მუშაობის, დასვენებისა და სხვა წამახალისებელი აქტივობებისათვის ყველა აუცილებელი პირობის და გამართული ინფრასტრუქტურის შექმნაზე. მაგალითისათვის, კოლეჯის სოფ. წინამძვრიანთკარის სასწავლო კორპუსში მოწყობილია „სპორტულ-გამაჯანსაღებელი დარბაზი“, კეთილმოწყობილი „საკონფერენციო დარბაზი“, სტუდენტთათვის შეძენილია „ტენისის მაგიდა“ და სხვა.

კოლეჯი მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს შშმ პირთათვის ხელშემწყობი გარემოს შექმნას. მაგალითად, ახლადრეაბილიტირებული ეროვნული მნიშვნელობის კატეგორიის კულტურულ ძეგლის შენობაში (პირველი პროფესიული სასწავლებლის შენობა) განხორციელდა შშმ პირთა გადასაადგილებლად განკუთვნილი ჰორიზონტალური ამწე-ბაქანის (პლატფორმა) მონტაჟი, ღირებულება - 21,241 ლარი;

კოლეჯის სოფ. წინამძღვრიანთკარის და დაბა თიანეთის სასწავლო კორპუსებისათვის ჩატარდა ცენტრალური გათბობის საქვაბეების და თბოქსელის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციის სამუშაოები. კოლეჯის ბიუჯეტიდან დახარჯული იქნა - 40,984 ლარი, ხოლო გაზმომარაგების მილის მიყვანის სამუშაოზე - 14,465 ლარი.

„აგრომექანიზაციის“ პროფესიული პროგრამის განსახორციელებლად სრულად იქნა რეაბილიტირებული სატრაქტორო პარკი - ღია ტიპის სადგომებით, შშმ და სსსმ პირებზე ადაპტირებული კეთილმოწყობილი ტექნიკური მომსახურების სახელოსნოთი და კაბინეტ-ლაბორატორიით, სველი წერტილებით და საშხაპით. სამშენებლო-სარემონტო სამუშაოებზე დაიხარჯა 147,342 ლარი, ხოლო მატერიალური რესურსის შესაძენად კოლეჯის ბიუჯეტიდან სულ გახარჯული იქნა 195,324 ლარი;

განსაკუთრებული აქცენტები კეთდება ინტეგრირებული სწავლების ლაბორატორია-კაბინეტების თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ინვენტარით აღჭურვაზე. სოფ. წინამძღვრიანთკარის და დაბა თიანეთის სასწავლო კორპუსების ქიმიის ლაბორატორიებისათვის დამზადებული იქნა ინდივიდუალური ტიპის სპეციალური

ლაბორატორიული მაგიდები, ღირებულებამ შეადგინა - 13,014 ლარი; ასევე, სპეციალური ლაბორატორიული მაგიდები დამზადდა სოფ. წინამძღვრიანთკარის ძირიტადი სასწავლო კორპუსის ფიზიკის ლაბორატორიისათვის, ღირებულებით - 8,614 ლარი.

აგრარული მიმართულების სპეციალობების პრაქტიკული მოდულების განსახორციელებლად კოლეჯი ფლობს სამ სხვადასხვა ტიპისა და ფართის მქონე სასათბურე ნაგებობას. მათ რეაბილიტაცია-განახლებაზე დახარჯული იქნა 34,618 ლარი. მოეწყო დაწვიმებით მორწყვისა და ნისლის წარმომქმნელი ავტომატიზებული სისტემა. შესრულების ინდიკატორები - შესაბამისობაში (ინვენტარიზაციის მასალები, შესყიდვის დოკუმენტაცია, მიღება-ჩაბარების აქტები; კეთილმოწყობილი სასწავლო კორპუსები)

ამოცანა 3. საერთო საცხოვრებლის მშენებლობა-გარემონტება, კვების ობიექტის, ისტორიული ძეგლის გარემონტება და ტრენინგ ცენტრის მოწყობა

1. სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯი ფლობს სტუდენტთა საერთო საცხოვრებელ 2 სართულიან შენობას, 2 სადარბაზოთი და 12 საცხოვრებელი ბინით (1, 2 და 3 ოთახიანი). დღეისათვის სრულად გარემონტებულია 5 ბინა. 2022 წელს დაწყებულია და ამჟამად მიმდინარეობს დამატებით 3 საცხოვრებელი ბინის სარემონტო სამუშაოები - სახელშეკრულებო ღირებულება 94,230 ლარი. ასევე, საერთო საცხოვრებელი შენობის მიმდებარე სასოფლო-სამეურნეო სავარგულები 6531 კვ.მ. შემოიღობა სრულად, ღირებულება - 52,590 ლარი.
   ამავდროულად, სტუდენტთა საერთო საცხოვრებელი შენობის წინამდებარე გზის, სადარბაზოების კიბის უჯრედისა და მისი წინაფრების, ასევე შენობის გათბობის, ცხელი წყლის სისტემის, საქვაბე მეურნეობის მოწყობის და საერთო საცხოვრებელი შენობაში დარჩენილი 4 საცხოვრებელი ბინის სამშენებლო/სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელების მიზნით, შესაბამისი საპროექტო ორგანიზაციების მიერ მომზადებული იქნა საპროექტო-სახარჯთარრიცხვო დოკუმენტაციები, რომლის მომზადებაზეც კოლეჯის ბიუჯეტიდან დაიხარჯა 6,450 ლარი, ხოლო 2023 წელს განსახორციელებლ სამუშაოთა ღირებულებამ შეადგინა - 283,601 ლარი.

   აღსანიშნავია, რომ 2023 წელს სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯს უსრულდება დაარსებიდან 140 წელი. საიუბილეო ღონისძიება გაიმართება კოლეჯის მიერ დაწესებულ ყოველწლიურ დღესასწაულ - "ოლღაობის" დღეს, ოქტომბრის თვის ბოლო შაბათს. იმისათვის, რომ კოლეჯი ამ მეტად მნიშვნელოვან ღონისძიებას შეხვდეს მომზადებული, საერთო საცხოვრებლის და მისი შემოგარენი ტერიტორიის სრული რეაბილიტაციისათვის კოლეჯმა მიიღო გადაწყეტილება, რომ სტუდენტთა საერთო საცხოვრებელი სენობის ტერიტორია სრულად იქნეს რეაბილიტირებული, კეთილმოეწყოს მისი ტერიტორია, შეიქმნას რეკრეაციული ზონები სტუდენტთა გართობისა და დასვენებისათვის, კერძოდ დაგეგმილია:

1. საერთო საცხოვრებელი შენობის ფასადის სრული განახლება;
2. საერთო საცხოვრებელი შენობის ძირითადი საკანალიზაციო და წყალმომარაგების ქსელის განახლება;
3. საერთო საცხოვრებელი შენობის ტექნიკური სართულის (მაღალჭერიანი სარდაფი, ბუნებრივი განათებით) სრული სარემონტო სამუშაოების ჩატარება (აღნიშნულ ფართში მოეწყობა სტუდენტთა დასასვენებელი სივრცეები, სატრენაჟორო დარბაზი სველი წერტილებით, სამეურნეო სათავსოები, სამედიცინო პუნქტი);
4. საერთო საცხოვრებლის გარე ტერიტორიაზე (მიწის ნაკვეთი 6531 კვ.მ.) გარე განათების, დასასვენებელი სივრცის, ქარსაცავი ზოლის და სარწყავი ქსელის მოწყობა.

აღნიშული პროექტების განსახორციელებლად კოლეჯის მიერ შემუშავებულია თანმიმდევრული გეგმა, მიმდინარეობს აქტიური კომუნიკაცია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტთან, სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთან, რათა ერთობლივი ძალისხმევით მივიღოთ თანამედროვე ტიპის სტუდენტთა „კამპუსი“ 80 სტუდენტზე, რაც ხელს შეუწყობს აგრარული მიმართულების (და არამარტო) მსურველი სტუდენტები მივიღოთ საქართველოს ყველა კუთხიდან.

2. სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯი სწავლებას ახორციელებს პროფესიული განათლების 28 პროგრამაზე. ყოველ სასწავლო წელს მისაღები კონტინგენტი შეადეგნს 300 სტუდენტს, ხოლო სასწავლო პროცესი მიმდინარეობს დილის 9 საათიდან 16 საათამდე. კოლეჯის ძირითადი სასწავლო კორპუსის გარეშემო ტერიტორიაზე, მათ შორის, სოფ. წინამძღვრიანთკარში და სოფ. გალავანში არ ფუნქციონირებს სწრაფი კვების ობიექტები, რაც გარკვეულწილად უკმაყოფილებას იწვევ სტუდენტებსა და მასწავლებლებს შორის.

   გამომდინარე კვების ობიექტის არსებობის დიდი სურვილით, კოლეჯმა მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ სოფ. წინამძღვრიანთკარის სასწავლო კორპუსის ნულოვან სართულზე არსებულ თავისუფალ ფართში მოეწყოს კვების ობიექტი - სამზარეულო და სასადილო დარბაზი, ასევე დამხმარე სასაწყობე სათავსო (გვაქვს პროექტი და ხარჯთაღრიცხვა), რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ინფრასტრუქტურას და ხელს შეუწყობს სტუდენტთა სწავლებისა და დასვენების პროცესს. აღნიშული სამუშაოების განხორციელების მიზნით კოლეჯის საკუთარი შემოსავლების ეკონომიიდან გამოყოფილი იქნა დაფინანსება - 48,943 ლარი;

   მიმდინარეობს კოლეჯის ტერიტორიაზე არსებული ისტორიული „ცხრა მუხის“ შემოგარენის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

3. 2022 წლის საკუთარი შემოსავლების დაფინანსებით, კოლეჯი ახორციელებს კოლეჯის ტერიტორიაზე განთავსებული ეროვნული მნიშვნელობის კატეგორიის კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის "ისტორიული მარნის" და მასზედ ნაშენი "მეღვინეობის სასწავლო ცენტრის" შენობის საპროექტო და სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოებს, საერთო ღირებულებით 980,000 ლარი. აღნიშული

სამუშაოები მოიცავს 2 წელს და მისი ექსპლუატაციაში მიღება შედგება 2023 წელს. სამუშაოების ჩატარებაზე საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოდან მიღებულია სანებართვო მოწმობა.

შესრულების ინდიკატორები - შესაბამისობაში (ელექტრონული ტენდერები, გაფორმებული ხელშეკრულებები, მიღება-ჩაბარების აქტები, წერილობითი კორესპონდენცია).

ამოცანა 4. ბიბლიოთეკის რესურსით კმაყოფილების კვლევის ჩატარება, სასწავლო რესურსის გაუმჯობესება

ჩატარდა კვლევის ანალიზი და შედეგზე რეაგირება. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 17-დან 72 წლამდე ასაკის 62 რესპოდენტმა, აქედან 80,4 % მდედრობითი სქესის, ხოლო 19,6% - მარობითი. შედეგებმა გვაჩვენა, რომ გამოკითხულთა უმრავლესობა სარგებლობს კოლეჯის ბიბლიოთეკით. შეკითხვაზე „სტუდენებს მიუმართავთ თუ არა ადმინისტრაციისათვის რაიმე საჭიროების დაკმაყოფილების თხოვნით“ – 63.4% პასუხობს, რომ მიუმართავს, მათ შორის, 83.7%-ის აზრით, მიმართვას მოჰყვა დამაკმაყოფილებელი რეაგირება, 7%-ის შემთხვევაში კი ნაწილობრივ დამაკმაყოფილებელი. გამოკითხულთა რეკომენდაციით, სასურველია საბიბლიოთეკო ფონდს დაემატოს მეტი რაოდენობის თანამედროვე პროფესიული ლიტერატურა (მაგ: სასმელების წარმოების, სამკერვალო წარმოების, სოფლის მეურნეობის მიმართულებით). ახალი პროგრამების სასწავლო რესურსით უზრუნველყოფის კუთხით - მოძიებული იქნა, განახლდა, დაემატა, ელექტრონულად ჩაიწერა ბიბლიოთეკის კატალოგში. ბიბლიოთეკის წიგნად ფონდში განხორციელდა ახალი ლიტერატურის კატალოგიზაცია და სისტემატიზაცია. მუდმივმოქმედ პროცესშია პროფესიული სტუდენტების, მასწავლებლების და ადმინისტრაციული პერსონალის ხელშეწყობა ბიბლიოთეკით სარგებლობაში, მოთხოვნისამებრ წიგნადი ფონდიდან ეგზავნებათ ელექტრონული რესურსები.

საანგარიშო წელს საბიბლიოთეკო ფონდს შეემატა შემდეგი სახის ლიტერატურა და სახელმძღვანელო:

1. მხატვრული და შემეცნებითი ლიტერატურა - 13;
2. სამედიცინო ენციკლოპედია - 3;
3. მევენახეობა-მეღვინეობის პროგრამისათვის - 3;
4. მეფუტკრეობის პროგრამისათვის - 2;
5. მოდული „ჯანდაცვა და უსაფრთხოება“ – 4.

შესრულების ინდიკატორები - შესაბამისობაში (კვლევის შედეგები, შესყიდული ლიტერატურა)

ამოცანა 5. კოლეჯის მარეგულირებელი დოკუმენტაციის გადახედა-გაუმჯობესება

საანგარიშო წელს კოლეჯის მიერ დამუშავდა შემდეგი წესები და დებულებები:

1. „შუალედური შეფასების ჩატარების წესი და პირობები მოდულურ, დუალურ და ინტეგრირებულ პროგრამებზე“;
2. “კვალიფიკაციის მიმნიჭებელი კომისიის საქმიანობის წესი”;

3. „შიდა კონტროლის განმახორციელებელი მონიტორინგის ჯგუფის დებულება”.

ცვლილებები შევიდა შემდეგ წესებში:

1. „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
2. „საშტატო ნუსხითა და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თანამშრომელთა პოზიციების დასაკავებლად საკვალიფიკაციო მოთხოვნები და უფლებამოსილებები /უფლებამოვალეობების წესი“;
3. „სამუშაო დროის აღრიცხვის ფორმისა და მისი წარმოების წესი“.

შესრულების ინდიკატორები - შესაბამისობაში (დამტკიცებული დებულებები და წესები; კოლეჯის ვებ-გვერდი)

ამოცანა 6. კოლეჯის სამივე სასწავლო კორპუსში აუდიტორიებისა და სახელოსნოების დამატება

1. კოლეჯის სოფ. წინამძღვრიანთკარის ძირითადი სასწავლო კორპუსის ტერიტორიაზე, „აგრომექანიზაციის“ ახალი პროფესიული პროგრამის განსახორციელებლად აშენდა აუდიტორია-სახელოსნო, კეთილმოეწყო და აღიჭურვა შესაბამისი ინვენტარით, ნიადაგის დამამუშავებელი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით;
2. კოლეჯის სასწავლო კორპუსში განთავსებულია ხის მხატვრული დამუშავებისა და ავეჯის კონსტრუირების, ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავების, სამკერვალო წარმოების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პრაქტიკული მეცადინეობების ჩასატარებელი სახელოსნოები, რომლებიც გამოირჩევიან ხმაურის მაღალი დონით და ხელს უშლიან შენობაში სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვას. ზემოაღნიშნული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად კოლეჯს აქვს მზაობა, პრაქტიკული სწავლების სახელოსნოები აშენდეს კოლეჯის ტერიტორიაზე, რომელიც ერთის მხრივ უპასუხებდა პროფესიული პროგრამების ახალ სტანდარტებს, მეორეს მხრივ გაანთავისუფლებს სასწავლო კორპუსში აუდიტორიებს შემდგომისათვის ახალი პროგრამების დასამატებლად. აღნიშნულის შესახებ, როგორც კოლეჯმა, ასევე პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტმა წერილით მიმართა სამუშაოების განხორციელების აუცილებლობის შესახებ სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს. სააგენტოს წერილობითი შეტყობინებით, სამუშაოები განხორციელდებოდა 2022 წელს, თუმცა როგორც ჩვენთვის იმთავითვე გახდა ცნობილი, არანაირი საპროექტო სამუშაოები არც დაწყებულა და არც იგეგმება საანგარიშო წლის ბოლომდე. 2023 წლის პერიოდში კოლეჯი განაგრძობს აქტიურ კომუნიკაციას შესაბამის სამსახურებთან დასახული კურსის მიღწევისათვის, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობების ხარისხიანად წარმართვას.

შესრულების ინდიკატორები - მეტწილად შესაბამისობაში (ავტორიზებული პროგრამა „აგრომექანიზაციაში“, წერილობითი კორესპონდენციები და უკუკავშირი ადრესატებიდან)

ამოცანა 7. დუშეთის დამატებითი სასწავლო ფართის გახსნის სამუშაოების დაწყება

საანგარიში წელს, კოლეჯის მიერ მომზადებული იქნა განსახორციელებელი „ინფრასტრუქტურული სამუშაოების“ ნუსხა, რომელიც წარედგინა სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს. დუშეთის დამატებითი სასწავლო ფართის რეაბილიტაციის სამუშაოებისათვის საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება სააგენტოს მიერ დაგეგმილია 2023 წელს.

შესრულების ინდიკატორები - მეტწილად შესაბამისობაში (მომზადებული „ინფრასტრუქტურული საჭიროებების“ ნუსხა, კომუნიკაცია ელექტრონული ფოსტით)

ამოცანა 8. სატრანსპორტო საშუალების დამატება სტუდენტებისა და თანამშრომლების შეუფერხებლად გადაადგილებისთვის

კოლეჯი ძირითადად ემსახურება მცხეთა-მთიანეთის რეგიონის მოსახლეობას, ასევე სწავლის მსურველთა ნაკადს დედაქალაქიდან და საქართველოს ყველა რეგიონიდან. კოლეჯის ადგილმდებარეობა და რეგიონში საზოგადოებრივი ტრანსპორტის მარშრუტების ნაკლები არჩევანი ნეგატიურად აისახება სტუდენტთა დასწრებაზე და აკადემიურ მოსწრებაზე, გარკვეულწილ სირთულეებს უქმნის სწავლის მსურველებს, პროფესიულ მასწავლებლებს და კოლეჯის ადმინისტრაციის თანამშრომლებს ტრანსპორტირებისას. აღსანიშნავია, რომ სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯს გააჩნია დამხმარე სასწავლო კორპუსები (ფილიალები) დაბა სტეფანწმინდასა და დაბა თიანეთში, სადაც აღნიშული მუნიციპალიტეტების მაცხოვრებელთათვის მიმდინარეობს საგანმანათლებლო პროფესიულ პროგრამებზე სწავლება.

სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯს მიზანშეწონილად მიაჩნია, სტუდენტთა, პროფესიულ მასწავლებელთა და ადმინისტრაციის თანამშრომელთა კოლეჯში გადაადგილების ხელშეწყობის მიზნით შესყიდულ იქნეს ახალი, ექსპლუატაციაში არმყოფი, ქარხნული სამგზავრო ავტობუსი, დასაჯდომი ადგილების რაოდენობით - არანაკლებ 28+1, რომელიც მოემსახურება ქ. მცხეთის, სოფ. მუხრანის, სოფ. წეროვანის და სოფ. წილკნის დევნილთა დასახლებების და მიმდებარე სოფლებიდან მოძრავ სტუდენტებს, ასევე სოფ. საგურამოს გადასახვევიდან სოფ. წინამძღვრიანთკარამდე და უკან. სამგზავრო ავტობუსის მოძრაობა განისაზღვრება გრაფიკით, რომელიც მორგებული იქნება სასწავლო პროცესზე, რაც საგრძნობლად შეამცირებს სტუდენტთა სტატუსის შეწყვეტა/შეჩერებას გარდა აღნიშნულისა, კოლეჯს შესაძლებლობა ეძლევა, საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს პროფესიულ სტუდენტთა საქართველოს მასშტაბით სხვადასხვა სასწავლო-შემეცნებით ღონისძიებებში ორგანიზებულად ტრანსპორტირება.

ზემოაღნიშული საკითხის გადაწყვეტის მიზნით, კოლეჯის მიერ მომზადებული და საქართველოს მთავრობის სხდომისათვის წარდგენილი იქნა წინასწარი განკარგულების პროექტი „სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 24 დეკემბრის №606 დადგენილების საფუძველზე და ითვალისწინებს საქართველოს განათლებისა და

მეცნიერების სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ სსიპ – ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯისათვის (შემდგომში - კოლეჯი) საქართველოს მთავრობის წინასწარი თანხმობის მიცემას, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესის შესაბამისად, ავტოსატრანსპორტო საშუალებების, კერძოდ, სამგზავრო ავტობუსის სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებაზე. უნდა ღინიშნოს, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შესაბამისი სამართლებრივი ღონისძიებების განხორციელების შემდგომ, წარდგენილი პროექტი სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის მიერ, ატვირთულ იქნა „ელექტრონული მთავრობის“ პროგრამაში 2-ჯერ, რომელიც არ დავიზდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროსგან.

საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, ყველა საჭირო პროცედურა, რათა საქართველოს მთავრობისგან მივიღოთ „ავტობუსის“ შესყიდვაზე ნებართვა, კოლეჯი მოთხოვნას განმეორებით წარადგენს 2023 წელს.

შესრულების ინდიკატორები - მეტწილად შესაბამისობაში (წარგენილი საქართველოს მთავრობის წინასწარი განკარგულების პროექტი, ბაზრის კვლევის ამსახველი დოკუმენტაცია, წერილობითი კორესპონდენციები).

მიზანი 4. სტუდენტების მხარდაჭერის სერვისის განვითარება

ამოცანა 1. სტუდენტების კარიერული მხარდაჭერა და გაცვლითი პროგრამები

სსიპ „ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯი“-ს დიდი ყურადღებას ანიჭებს სტუდენტთა კარიერული წინსვლისა და გაცვლით პროგრამებში მონაწილეობას. გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა სტუდენტებს აძლევს უნიკალურ საშუალებას ერთმანეთს შეუთავსოს სწავლა და მოგზაურობა, ხოლო ცოდნა კი უცხოეთში მიღებული თანამედროვე გამოცდილებით გაამდიდროს. კოლეჯის მიზანია, რაც შეიძლება მეტი პარტნიორი მოიძიოს სტუდენტებისთვის გაცვლითი პროგრამების შეთავაზების მიზნით, რაც მნიშვნელოვანი გზავნილი იქნება სტუდენტთა შემდგომი კარიერული წინსვლის მხარდასაჭერად. კოლეჯი წლებია თანამშრომლობს სხვადასხვა ქვეყნის პროფესიულ სასწავლებლებთან (ჩეხეთი, გერმანია, ესტონეთი და ა.შ.).

2022 წლის 6 დეკემბერს სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯში სტუმრად იმყოფებოდნენ: ესტონეთის ქალაქ რიაპინას მებაღეობის კოლეჯის დირექტორი, ლანდშაფტის დიზაინის, მებაღეობის და ტექსტილის დიზაინის მასწავლებლები. პედაგოგების და სტუდენტების გაცვლითი პროგრამების განხორციელების ხელშეკრულების პირობების განსაზღვრის მიზნით.

ვიზიტის ფარგლებში კოლეჯის დირექტორმა თეიმურაზ ასათიანმა სტუმრებს გააცნო ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის ისტორია და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. დაათვალიერეს ეროვნული მნიშვნელობის მქონე რეაბილიტირებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის შენობა, გაეცნენ პროფესიულ პროგრამებს და კოლეჯის სიახლეებს. მოინახულეს სასწავლო აუდიტორიები და კოლეჯის სადემონსტრაციო-საკოლექციო ნაკვეთები. ისაუბრეს პროფესიული განათლების მნიშვნელობასა და პროფესიის არჩევისას სწორი გადაწყვეტილების მიღების თაობაზე.

დაისახა ორმხრივი თანამშრომლობის გაცვლითი პროგრამების განხორციელებისათვის პირობების შემუშავების ვადები 2023 წლისთვის.

კოლეჯი განაგრძოს უცხო ქვეყნის პარტნიორ კოლეჯებთან ორმხრივი თანამშრომლობის გაღრმავებას, გაცვლითი პროგრამების განხორციელებისათვის საჭირო პირობების შემუშავებას და საბოლოო პროდუქტის წარდგენას სტუდენტებისთვის.

შესრულების ინდიკატორები: მეტწილად შესაბამისობაში (შეხვედრების ამსახველი მასალა).

ამოცანა 2. პროფესიული სტუდენტების ინიცირების მხარდაჭერა სხვადასხვა ღონისძიებების ჩატარებაზე

1. კოლეჯის სსსმ სტუდენტთა ინიცირებით ჩატარდა საინფორმაციო სემინარი „დაუნის სინდრომის ცნობიერების ამაღლების“ შესახებ. სემინარს ესწრებოდნენ კოლეჯის სტუდენტები, მასწავლებლები, ადმინისტრაციის წევრები და სხვა დაინტერესებული პირები (2022 წლის 21 მარტი);
2. შემუშავდა და აპრობაცია გაიარა პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ერთიანი მექანიზმის გეგმამ, რომელიც მოიცავს, როგორც საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული მხარდაჭერის ღონისძიებებს, ასევე პროფესიული სტუდენტების სასწავლო გარემოსთან ადაპტირების პროცესის ხელშეწყობასა და სტუდენტური ინიციატივების აქტიურ მხარდაჭერას. პროექტების მიღების პირველ ეტაპად განისაზღვრა მაისის თვე. საკონკურსო პროექტების შესაფასებლად პრიორიტეტი ენიჭებოდა შემდეგ საკითხებს: კონკრეტული ინიციატივის მაქსიმალური ბიუჯეტი 2000 ლარი; საპროექტო განაცხადის განხილვის ეტაპზე უპირატესობა მიენიჭება ისეთ საპროექტო განაცხადს, რომელიც ხელს შეუწყობს: პროფესიულ სტუდენტთა აკადემიურ, სოციალურ და ფსიქოლოგიურ განვითარებას; პროფესიულ სტუდენტებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას; პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობას სამოქალაქო აქტივობებში; პროფესიულ სტუდენტებში ორგანიზაციული უნარების ჩამოყალიბებას; მისცემს პროფესიულ სტუდენტებს თვითრეალიზაციის საშუალებას; აამაღლებს პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობას დაწესებულების ორგანიზებით განხორციელებულ აქტივობებში და ხელს შეუწყობს სასწავლო გარემოს გამრავალფეროვნებას (2022 წლის აპრილი - მაისი);
3. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით, ჩატარდა კოლეჯისა და საპატრიარქოს ფონდის ,,გაამწვანე საქართველო“ ერთობლივი აქცია - ღვაწლმოსილი ქართველის, ილია წინამძღვრიშვილის ახლად რეაბილიტირებული განსასვენებლის გამწვანების ღონისძიება. ღონისძიებას ესწრებოდნენ: ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის დირექტორი თემურ ასათიანი, პროფესიული მასწავლებლები და სტუდენტები. ასევე, მოწვეული სტუმრები: მცხეთა-მთიანეთის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე გიორგი კაპანაძე, პირველი მოადგილე გიორგი ჩიფჩიური, ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის მოადგილე ნათია იორდანიშვილი, მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლები, ღონისძიების ფარგლებში

დაირგო: ბზის, ცაცხვის, კიპარისის, ლავანდის, ღვიის, როზმარინის, სუროსა და ყინვა გამძლე ვიოლას ნერგები (2022 წლის 4 აპრილი);

4. კოლეჯის ბაზაზე განხორციელდა მცხეთა - მთიანეთის სკოლების დამამთავრებელი კლასის მოსწავლეების ვიზიტი. მოსწავლეებმა მოინახულეს სასოფლო - სამეურნეო მიმართულების პროფესიული პროგრამების სახელოსნოები და სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთები. კოლეჯის სტუდენტებთან ერთად ისინი აქტიურად ჩაერთვნენ მიმდინარე პრაქტიკულ სამუშაოებში (2022 წლის 5 აპრილი);
5. პროფესიული პროგრამა „მეფუტკრე“-ს პროფესიულმა მასწავლებლებმა და სტუდენტებმა აღნიშნეს ფუტკრის საერთაშორისო დღე. ღონისძიებას ესწრებოდნენ კოლეჯის ადმინისტრაციის წევრები, პროფესიული მასწავლებლები და სხვა პროფესიული პროგრამების სტუდენტები (2022 წლის 20 მაისი);
6. კოლეჯის ბაზაზე ჩატარდა ტრენინგი თამბაქოს წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით. საინფორმაციო ტრენინგზე ასევე გაცნობილი იქნა სტუდენტებისთვის კოლეჯის შინაგანაწესი თამბაქოს ტერიტორიაზე მოხმარებასთან დაკავშირებით (2022 წლის 31 მაისი);
7. ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, კოლეჯის სტუდენტებმა მოაწყვეს აქცია - პერფორმანსი (2022 წლის 1 ივნისი);
8. კოლეჯის სტუდენტებისა და მასწავლებლების მიერ გაიმართა ღონისძიება - ნარკოტიკებთან ბრძოლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით. მისი მიზანი იყო სტუდენტების ცნობადობის ამაღლება და ჯანმრთელი ცხოვრების წესის პროპაგანდა (2022 წლის 26 ივნისი);

შესრულების ინდიკატორები: შესაბამისობაში (ფოტო-ვიდეო მასალა, კოლეჯის ვებ-გვერდი).

ამოცანა 3. სტუდენტების, კურსდამთავრებულების დასაქმების, საჭიროებებისა და კმაყოფილების კვლევა

2022 წლის მაისისა და ივნისის თვეში განხორციელდა გამოკითხვა კოლეჯის სამივე ფილიალში: „სტუდენტების დასაქმების გამოკითხვა“, „დამსაქმებელთა გამოკითხვა“, „კურსდამთავრებულთა კმაყოფილების კვლევა“ და „შეფასების კითხვარი სტუდენტებისთვის“. კვლევის მიზანს წარმოადგენდა, თუ რამდენად ხორციელდება პროფესიული დიპლომის საფუძველზე დასაქმება სხვადასხვა მიმართულებით და კურსდამთავრებულთა კმაყოფილება, თუ რამდენად სწორად წარიმართა სასწავლო და პრაქტიკული პროცესი იმისთვის, რომ მიღებული ცოდნა გამოეყენებინათ დასაქმებისთვის.

შესრულების ინდიკატორები: მეტწილად შესაბამისობაში (გამოკითხვის ონლაინ ფორმა; კოლეჯმა გააძლიეროს სამუშაოები ამოცანის მიზნების ეფექტურად განსახორციელებლად).

ამოცანა 4. პროფესიული სტუდენტის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო სასწავლო გარემოს უზრუნველყოფა

კოლეჯის პროფესიული სტუდენტებისა და დასაქმებულთა ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო სასწავლო და სამუშაო გარემოს შექმნის მიზნით, კოლეჯის სამივე სასწავლო კორპუსის სამედიცინო კაბინეტში მობილიზებულია ყველა აუცილებელი სამედიცინო საშუალება, მიმდინარეობდა კონტროლი არსებული მედიკამენტების და სამედიცინო მასალის ვარგისიანობის (ვადის) კუთხით; მომართვის შემთხვევაში, პირველადი სამედიცინო დახმარება გაეწია კოლეჯის (პროფესიულ სტუდენტს, მასწავლებელს და ადმინისტრაციის თანამშრომელს); გაწეული სამედიცინო მომსახურებისა და გამოყენებული მედიკამენტის შესახებ ინფორმაცია აისახებოდა სპეციალურ სარეგისტრაციო ჟურნალში; განსაკუთრებული მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდნენ სსსმ სტუდენტები;

ჯანმრთელობის დაცვის რეკომენდაციების გათვალისწინებით, COVID-19 ინფექციის გავრცელების, პრევენციული ღონისძიებების და მართვის უზრუნველყოფის შესახებ კოლეჯს შემუშავებული აქვს მართვის მოქნილი გეგმა. კერძოდ, კოლეჯი აქტიურად აწარმოებს ინფექციის პრევენციას და კონტროლს საგანმანათლებლო სივრცეში, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს COVID-19 გამოწვეულ ინფექციასთან დაკავშირებული რეკომენდაციებით; ხორციელდებოდა COVID-19 მართვა, ამასთანავე რეკომენდაციების მიცემა, რომელიც დაკავშირებული იყო ძირითად სასწავლო ფართთან და ამასთანავე დამატებითი სასწავლო ფართებთან (დაბა სტეფანწმინდა/დაბა თიანეთი). მიდინარეობდა კოლეჯის თანამშრომელთა, მასწავლებელთა, პროფესიულ სტუდენტთა და ვიზიტორთა ყოველდღიური თერმოსკრინინგი. სასიგნალო შეტყობინების მოღებისთანავე, პოტენციურად ვირუსმატარებელი პირის ტემპერატურის დაფიქსირებისას, მისი გადამოწმება ხორციელდება მექანიკური თერმომეტრის გამოყენებით, რაც ფიქსირდებოდა ჟურნალში (ადმინისტრაციის თანამშრომელი, პროფესიული სტუდენტი, მასწავლებელი, ვიზიტორი); კოლეჯის სივცეში გათვლისწინებული იყო ერთ მეტრიანი დისტანციის დაცვა, ამვდროულად, ინდივიდუალურ დაცვის საშუალებაზე კონტროლი. ყოველდღიურად ტარდებოდა არსებული დახურული სივრცეების (დერეფანი, აუდიტორია, სველი წერტილები) ბუნებრივი ვენტილაციის უზრუნველყოფა გარე სივრციდან სუფთა ჰაერის შემოტანით, როგორც წესი საათში ათი წუთით მაინც; სველ წერტილში თხევადი საპნის, ხელის გასამშრალებელი ერთჯერადი ხელსახოცების, თითო ფლიგელში თითო სადეზინფექციო სანიტაიზერის არსებობის (სულ მცირე 70% სპირტის შემცველობის), გამოყენებული ჰიგიენური ნარჩენების უზრუნველყოფა, კონტროლი, მართვა; ყოველდღიურად ტარდებოდა სადენზინფექციო სამუშაოები სადენზინფექციო ხსნარების გამოყენებით და შესაბამისი მონაცემები ფიქსირდებოდა სამუშაო სივრცისა და გამოყენებული სამუშაო აღჭურვილობების დეზინფექციის ჩატარების გრაფიკის ჟურნალში; სპეციალურ ყუთებში განთავსებული ჰიგიენური ნარჩენები ექვემდებარებოდა სპეციალური სამსახურის მიერ გატანას და მის შემდგომ

უტილიზაციას. გაფორმებული იყო ხელშეკრულება სამედიცინო ნარჩენების მართვის სამსახურთან (შპს ,,ეკომედი''). ამავდროულად, ფიქსირდებოდა ჰიგიენური და სამედიცინო ნარჩენების გატანის ჟურნალში.

შესრულების ინდიკატორები: შესაბამისობაში (პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენისა და წესრიგის დაცვის მექანიზმების მოქმედების დამადასტურებელი დოკუმენტაცია/ინცინდენტების აღრიცხვის ჟურნალები და ჩანაწერები).

ამოცანა 5. სსსმ მოსწავლეების ზოგადი განათლების საფეხურიდან პროფესიულ განათლებაში ტრანზიციის ხელშეწყობა

სსსმ მოსწავლეების ზოგადი განათლების საფეხურიდან პროფესიულ განათლებაში ტრანზიციის ხელშეწყობის მიზნით საანგარიში წლის მაისი-ივნისის თვის პერიოდში გაიმართა სამუშაო შეხვედრები ქ. მცხეთის და მცხეთის მუნიციპალიტეტის, სოფ. საგურამოს, გალავნის , წეროვნის, ძეგვის და ქ. დუშეთის საჯარო სკოლებში. შეხვედრის ფორმატში აქტიურად იყო განხილული ინკლუზიური განათლების საკითხები, სსსმ მოსწავლეთა ჩართვა პროფესიულ განათლებაში და მათი ინტეგრაციის ხელშეწყობა. შეხვედრის მიმდინარეობის დროს გამოიკვეთა სსსმ მოწავლეების დაინტერესება მეფუტკრეობის, თმის სტილისტის, ღონისძიების ორგანიზების მიმართულებით.

თანამშრომლობა აქტიურ ფაზაშია ,,განათლების განვითარების და დასაქმების დღის ცენტრთან'', ბავშვთა სახლებთან.

კოლეჯში პერიოდულად მიმდინარეობდა სსსმ პროფესიული სტუდენტების საჭიროებების განსაზღვრა; საჭირების შემთხვევაში სასწავლო პროგრამის ადაპტაცია/აკომოდაცია და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა; სსსმ სტუდენტების და მათი მშობლების მხარდაჭერა (სივრცეში ორიენტაცია, ფსიქიკური გამძლეობა, მოტივაციის ამაღლება); კომუნიკაცია სსსმ სტუდენტების მშობლებთან/მეურვეებთან, მათი საჭიროებების შესახებ.

მუდმივ კომანიკაციაში ვიმყოფებოდით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს „ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინურ გუნდთან“, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ან/და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა ზოგადსაგანმანათლებლო სისტემიდან პროფესიული განათლების სისტემაში ინტეგრაციის მიზნით.

სსსმ და შშმ პირთა „კმაყოფილების კვლევამ" ცხადყო, რომ კოლეჯში შექმნილია ყველა პირობა მათი სწავლებისათვის, მათ ემსახურებათ სპეციალური ლიფტი, უფასო ტრანსპორტი ქ. მცხეთიდან კოლეჯამდე და უკან. კოლეჯი მაქსიმალურ ფაქტიურად მონაწილეობენ სხვადასხვა ღონისძიებებში, რათა გაუადვილდეთ საზოგადოებაში ინტეგრაცია. კვლევაში მონაწილეობა მიიღო კოლეჯის ხუთმა სსსმ სტუდენტმა და მათმა მშობელმა/კანონიერმა წამომადგენელმა. აქედან 2 სტუდენტი სწავლობს თმის სტილისტის სპეციალობაზე, 1 სასტუმრო მომსახურების ინტეგრირებულ პროგრამაზე და 1 ღონისძიების ორგანიზებაზე.

კოლეჯი მაქსიმალურად ცდილობს ხელი შეუწყოს სსსმ და შშმ სტუდენტთა პროფესიულ განათლებაში ჩართვას, როგორც სრული ზოგადი განათლებიდან, ასევე საბაზო საფეხურიდან, რათა მათი ჩართულობა პროფესიულ განათლებაში იყოს შედეგზე ორიენტირებული.

შესრულების ინდიკატორები: შესაბამისობაში (კვლევის შედეგები, სასწავლო გარემო, ღონისძიებებში მონაწილეობის ფოტო მასალა).

მიზანი 5. კოლეჯის ადამიანური რესურსების განვითარება

ამოცანა 1. თიანეთისა და სტეფანწმინდას ფილიალებში უსაფრთხოების თანამშრომლის გადამზადება

კოლეჯის დაფინანსებით გადამზადდა 2 შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი (გიორგი მახარაძე და ელგუჯა ჩანადირი), წარმოდგენილია დამადასტურებელი შესაბამისი სერთიფიკატები. კოლეჯში და მის ფილიალებში არსებული თანამშრომლების რაოდენობის გათვალისწინებით საჭიროა იყოს 2 შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. ვინაიდან კოლეჯში საშტატო განრიგით დამტკიცებულია შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის მხოლოდ 1 საშტატო ერთეული, განხორციელდა სერთიფიცირეული კარდის დანიშვნა საშტატო განრიგით ამ პოზიციაზე. ხოლო მეორე პირს შეთავსებული აქვს შრომის უსაფრთხოების ფუნქცია მოვალეობები სამეურნეო მენეჯერის ძირითად შტატთან ერთად. კადრების მომზადება დაფინანსდა კოლეჯის სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებიდან და შეადგინა 1881 ლარი.

შესრულების ინდიკატორები - შესაბამისობაში (გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულება; მიღებულია შესაბამისი სერთიფიკატები).

ამოცანა 2. კოლეჯის სტრუქტურის განახლება

განახლდა კოლეჯის სტრუქტურა, გადახალისდა კოლეჯის თანამშრომელთა უფლება-მოვალეობები.

შესრულების ინდიკატორები - შესაბამისობაში (განახლებული სტრუქტურა, კოლეჯის ვებ-გვერდი).

ამოცანა 3. კოლეჯის ადმინისტრაციული რესურსის და პროფესიული მასწავლებლების შესაძლებლობების გაძლიერება, სტიმულირება, ახალი კადრების მოზიდვა.

თანამშრომლების და პროფესიული მასწავლებლების გამოკითხვა, გასაძლიერებელი კომპეტენციების განსაზღვრა, ტრენინგების იდენტიფიცირება, ტრენინგების სერვისის მომწოდებლებთან კომუნიკაცია, რესურსების მოძიება, ტრენინგების ჩატარება.

პროფესიული მასწავლებლებისა და თანამშრომლებისთვის ჩატარდა საჭიროებების კვლევა. ასევე განხორციელდა თვითშეფასებების ანალიზი. გამოიკვეთა სხვადასხვა საჭიროებები: კერძოდ, მასწავლებლებს ესაჭიროებათ შიდა ტრენინგების ჩატარება. რაც შეეხება ადმინისტრაციის წევრებს, აქტიურად არიან ჩართულები სწავლა-სწავლების პროცესში.

გარდა აღნიშნულისა:

1. ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს ხელშეწყობით გაიარა კოლეჯის 26 პროფესიულმა მასწავლებელმა, რაც დასტურდება გაცემული სერთიფიკატებით (2022 წლის 11-13 ნოემბერი);
2. ახალი კადრების მოძიების მიზნით შედგა საქმიანი ურთიერთობა აგრარული უნივერსიტეტის აგრარული ფაკულტეტის ხელმძღვანელობასთან. სწორედ მათთან კომუნიკაციის შედეგად აგრარული მიმართულების მენეჯერის პოზიციაზე შეირჩა კანდიდატი. ურთიერთ თანამშრომლობა გაგრძელდება და შესაბამისად, უახლოეს ხანში დაიგეგმება მემორანდუმის გაფორმება;
3. პროფესიული მასწავლებლების მოზიდვის მიზნით ცხადდებოდა ვაკანსიები- (კოლეჯის და მისი ფილიალების სასწავლო პროცესის მენეჯერების მოთხოვნის საფუძველზე) და შესაბამისი წესების დაცვით ხორციელდებოდა მათი კოლეჯში დასაქმება. მასწავლებელთა ვაკანსიების გამოცხადება გამოწვეული იყო პროგრამის მდგრადობისთვის;
4. კოლეჯის ადმინისტრაციაში ვაკანტური ადგილების დასაკავებლად ცხადდებოდა საჯარო კონკურსი, ინფორმაცია აისახებოდა ა(ა)იპ საჯარო სამსახურის ბიუროს ელექტრონულ გვერდზე. ვაკანსიების გამოცხადება ძირითადად გამოწვეული იყო ახალი საშტატო ერთეულების დამატებით და ასევე თანამშრომელთა პოზიციიდან წასვლის გამო;
5. სტიმულირება და მოტივაციის გაზრდა - ადმინისტრაციის წევრების თვითშეფასება/შეფასების კითხვარების შედეგების გათვალისწინებით, კოლეჯის თანამშრომელთა საქმიანობის შემფასებელი კოისიის მიერ გაცემული რეკომენდაციების საფუძველზე რიგ თანამშრომლებს გაუგრძელდათ შრომითი ხელშეკრულების ვადა. ასევე, პოზიციური დაწინაურება შეეხო 2 თანამშრომელს. ახალი თანამშრომლების ინტეგრირება ხორციელდება შებამისი პროცედურებით;
6. კოლეჯის სამივე ფილიალის 42-მა მასწავლებელმა გაიარა პროფესიული განათლებლის მასწავლებელთა და დირექტორთა პროფესიული განვითარების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში პროფესიული განათლების მასწავლებელთა პედაგოგიური პროგრამის სრული კურსი;
7. კოლეჯის დირექტორმა მონაწილეობა მიიღო ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ ქ. თბილისში ჩატარებულ ღონისძიებაში „უნარების ეკოსისტემის კვლევა და განვითარება (2022 წლის 18 ილისი);
8. კოლეჯის პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი, ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი დაესწრნენ ქ. დუშეთში გამართულ „მოხალისეობის“ ფორუმს (2022 წლის 14 ივნისი); ფორუმზე განხილული იყო: მოხალისეობის კულტურის პოპულარიზაცია, მოხალისეების მიმღებ ორგანიზაციებსა და მოხალისეობით დაინტერესებულ პირებს შორის კომუნიკაციის ხელშეწყობის ახალგაზრდული საბჭოების როლისა და საქმიანობის პოპულარიზაციის საკითხები;
9. კოლეჯის დირექტორი და პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი მონაწილეობდნენ ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ ქ. თბილისში

ჩატარებულ ღონისძიებაში „ინტეგრირებული პროგრამების დანერგვის პროცესი - გამოწვევები და გადაჭრის გზები“ (2022 წლის 30 ივნისი);

10. კოლეჯის საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი იმყოფებოდა ქ. თელავში, მეღვინეობის კომპანია „ჯი-ვი-ეს“-ის საწარმოში, „ღვინის ასოციაციის“ მიერ ჩატარებულ, ა(ა)იპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის მევენახეობა-მეღვინეობის დუალური პროგრამის სტუდენტებისათვის მოწყობილ ერთობლივ პრაქტიკულ გამოცდაზე (2022 წლის 01, 13-15 ივლისი);
11. კოლეჯის დირექტორი, კოლეჯის იურისტი და ბუღალტერი, მონაწილეობდნენ ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ ქ. თბილისში გამართულ სამუშაო შეხვედრაში - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ეკონომიკური საქმიანობის რეგულაციისა და შესაბამისი პროცედურების განხილვის მიზნით (2022 წლის 15 ივლისი);
12. კოლეჯის პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი, ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი და მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის კოორდინატორი იმყოფებოდნენ მცხეთის მუნიციპალიტეტ სოფ. წილკანში გამართულ „რეგიონულ ფორუმზე“ (2022 წლის 12 აგვისტო); ფორუმზე განხილული იყო: მოსახლეობაში რეგიონული საზოგადოებრივი ორგანიზაციების ცნობადობის გაზრდის, მათი საქმიანობის და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიმართ ნდობის ამაღლების საკითხები;
13. კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერმა მონაწილეობა მიიღო ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ ქ. თბილისში გამართულ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ადმინისტრაციული პერსონალის ტრენინგში (2022 წლის 22 ოქტომბერი);
14. კოლეჯის დირექტორი, ხარისხის მართვის მენეჯერი და სასწავლო-საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი მონაწილეობდნენ საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატის ინიციატივით გამართულ ღონისძიებაში "საკვალიფიკაციო გამოცდების მიგნებები და გამოწვევები"; შეხვედრა ჩატარდა პროექტის ფარგლებში „პროფესიული განათლების მიმართულებით კერძო სექტორის ინტერესების წარმოჩენა და პროფესიულ განათლებასთან დაკავშირებული სერვისების გაუმჯობესება სავაჭრო-სამრეწველო პალატაში“ (2022 წლის 27 ოქტომბერი).

შესრულების ინდიკატორები: შესაბამისობაში (საკონკურსო კომისიის ოქმები, თანამშრომელთა საქმიანობის შემფასებელი კომისიის ოქმები, შეფასების ანგარიშები, დასწრების ფურცლები, სერთიფიკატები, მივლინების ბრძანებები).

ამოცანა 4. ახალი საშტატო ერთეულების დამატება

1. 2022 წელს კოლეჯის საშტატო ნუსხას დაემატა ახალი საშტატო ერთეულები: საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, ადამიანური რესურსების მენეჯერი, ხარისხის მართვის სპეციალისტი, აგრარული მიმართულების მენეჯერი და ბუღალტერი. ამ პოზიციებზე განხორციელდა შესაბამისი კადრების შერჩევა;

2. მოთხოვნილია 2 საშტატო ერთეულის დამატება - სასწავლო პროცესის მონიტორინგის სპეციალისტი და მექანიზატორი. საქართველოს განმათლებისა და მეცნიერების სამინისტროში გაგზავნილია შესაბამისი მოთხოვნა-დასაბუთება.

შესრულების ინდიკატორები: შესაბამისობაში (მომზადებული ბრძანებები, ხელშეკრულებები, პირადი საქმეები).

მიზანი 6: ხარისხის მექანიზმების განვითარება

ამოცანა 1: შიდა ვერიფიკაციის განხორციელება

ვერიფიკაციის პროცესი განხორციელდა, როგორც დასრულებულ ასევე, მიმდინარე 12 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სამივე ფილიალის ფარგლებში: "ბუღალტრული აღრიცხვა" (დაბა თიანეთი, წინამძღვრიანთკარი), „ვეტერინარია" (წინამძღვრიანთკარი), „კულინარიის ხელოვნება" (წინამძღვიარნთკარი), „თმის მომსახურება" (წინამძღვრიანთკარი), „მეფუტკრეობა" (დაბა თიანეთი, წინამძღვრიათკარი), „მებოსტნეობა" (წინამძღვრიანთკარი), „ინფორმაციის ტექნოლოგია" (დაბა თიანეთი, წინამძღვრიანთკარი) „სასტუმრო მომსახურება" (დაბა სტეფანწმინდა, წინამძღვრიანთკარი), „ბუღალტრული აღრიცხვა" (დაბა სტეფანწმინდა), „ელექტროობა" (დაბა სტეფანწმინდა), „მეხილეობა" (დაბა თიანეთი, წინამძღვრიანთკარი), „რძის პროდუქტები" (დაბა თიანეთი, წინამძღვრიანთკარი).

აღნიშნული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მასწავლებლებისთვის გაიცა ინდივიდუალური რეკომენდაციები ვერიფიკაციის დასკვნების შესაბამისად. ვერიფიკაციის პროცესისას გამოკვეთილ პრობლემურ საკითხებთან დაკავშირებით, გარდა წერილობითი სახის ინფორმაციისა, ვერიფიკაციის ჯგუფის მიერ თითოეულ პედაგოგს სიტყვიერად მიეცა რეკომენდაცია შეფასების ინსტრიმენტის სტრუქტურულ და შინაარსობრივ მხარეებთან დაკავშირებით. ასევე, ჩატარდა ტრენინგები ვალიდური და სანდო შეფასების ინსტრუმენტის შექმნასთან დაკავშირებით.

შეფასების ინსტრუმენტში შინაარსობრივ უზუსტობებთან დაკავშირებით გაიცა რეკომენდაცია სასწავლო პროცესის მენეჯერებთან და პროგრამის ხელმძღვანელებთან, რომ უფრო მეტი ყურადღება გამოეჩინათ ვალიდაციის პროცესში. გადამოწმდა, როგორ ხდება სტუდენტებისთვის შეაფასებების გაცნობა და შეფასების თარიღის ცნობება.

შესრულების ინდიკატორები: შესაბამისობაში (2022 წლის ხარისხის სამოქმედო გეგმა; ვერიფიკაციის დასკვნა).

ამოცანა 2: პსდ-ს რეავტორიზაციის გავლა

სსიპ ილია წინამძღვრიშვილის კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების რეავტორიზაციის პროცესი განხორციელდა 2022 წლის 13-17 ივნისის შუალედში.

პირველი ეტაპი მოიცავდა განაცხადის წარდგენას „განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში" და თვითშეფასების ანგარიშის მომზადებას თანდართული დოკუმენტაციით. აღნიშნული დოკუმენტების დეტალურად განხილვის შემდეგ შედგა ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტი, რომლის შედეგადაც ავტორიზაციის მეოთხე და მეორე სტანდარტის რამდენიმე კომპონენტში ექპერტთა მხრიდან დაიწერა მეტწილი

შესაბამისობაში. სსიპ „ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯმა“ დააფიქსირა არგუმენტირებული პოზიცია არსებულ ხარვეზებთან დაკავშირებით და წარადგინა შეცვლილი „შესაბამისობის გეგმა“, თუმცა ავტორიზაციის საბჭომ არ გაითვალისწინა მოცემული არგუმენტები და დაწესებულებას მიეცა ექვსი თვის ვადა შეუსაბამობების გამოსასწორებლად.

შესწავლილი და გაანალიზებული იქნა თითოეული ხარვეზი, შეუსაბამობების უმეტესობა გამოსწორდა, ხოლო მცირე ნაწილი გამოსწორების პროცესშია. კოლეჯში მონიტორინგი ჩანიშნულია 2023 წლის მარტის თვეში.

შესრულების ინდიკატორები: შესაბამისობაში (თვითშეფასების ანგარიში, წარდგენილი განაცხადი, რეავტორიზაციის დასკვნა, შესაბამისობის გეგმა, გამოსწორებული ხარვეზების დოკუმენტაცია: ანგარიშები, ოქმები, ხელშეკრულებები/მემორანდუმები, მარეგულირებელი დოკუმენტები)

ამოცანა 3: კვლევების ჩატარება ავტორიზაციის სტანდარტების შესაბამისად

რეავტორიზაციისა კოლეჯს ერთ-ერთი სიტყვიერი რეკომენდაცია მიეცა, საჭიროებებისა და კმაყოფილების კვლევებთან დაკავშირებით. აღნიშნული რეკომენდაცია გაიცა საკვლევი კითხვარების მოცულობიდა გამომდინარე და საჭირო გახდა მათი მოდიფიცირება.

კოლეჯს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გაწერილი ჰქონდა, აღნიშნული კვლევების ჩატარება 2023 წლის 28 იანვრამდე, რომელიც სისრულეში იქნება მოყვანილი მოცემული პერიოდისათვის.

შეიცვალა საკვლევი ინსტრუმენტები და მომზადდა ანგარიშები შეგროვებული ინფორმაციიდან გამომდინარე.

აღნიშნული კვლევა განხორციელდა, როგორც პროფესიული პედაგოგებისთვის, ასევე სტუდენტებისა და ადმინისტრაციული პერსონალისათვის. თითოეულის ფარგლებში მიღებული შედეგებიდან და დასკვნებიდა გამომდინარე შემუშავდა კონკრეტული რეკომენდაციები და აქტივობები, რათა აღმოიფხვრილიყო არსებული პრობლემები და გაუმჯობესებულიყო თითოეული ის მიმართულება თუ საკითხი, რომელიც კვლევის შედეგად გამოიკვეთა. გარდა ამისა ჩატარდა „საბიბლიოთეკო რესურსებით სარგებლობის ადეკვატურობის კვლევა“, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს კოლეჯის სტუდენტებმა და პედაგოგებმა.

შესრულების ინდიკატორები: შესაბამისობაში (ჩატარებული კლევები).

მიზანი 4: სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშების გამოთხოვა, ანგარიშების გაცნობა, შეხვედრის ჩატარება და განხილვა

2022 წლის სამოქმედო გეგმა მოიცავდა შვიდ სტრატეგიულ მიზანს. ეს მიზნები გახლდათ: ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება, პროგრამების გაუმჯობესებაზე ზრუნვა, მატერილური რესურსისა და ინფრაქსტრუქტურის განვითარება, სტუდენტების მხარადაჭერის სერვისების განვითარება, კოლეჯის ადამინური რესურსების განვითარება, ხარისხის მექანიზმების განვითარება, კოლეჯის ცნობადობის გაზრდაზე ზრუნვა. თითოეული მიზანი ჩაშლილი

იყო კონკრეტულ ამოცანებად, მითითებული ჰქონდა შესრულების ინიდიკატორები და შესაბამისი პასუხისმგებელი პირები. სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში წარმოადგინა კოლეჯის თითოეულმა თანამშრომელმა თავისი კომპეტენციისა და დაკავებული თანამდებობის ფარგლებში შესაბამისი ვადების დაცვით. აღნიშნულთან დაკავშირებით გაიმართა სამუშაო შეხვედრა და ყველა პასუხისმგებელმა პირმა წარადგინა მისი კომპეტენციის ფარგლებში მომზადებული ანგარიში. დამსწრე საზოგადოების მხრიდან კი განხილული იქნა თითოეული სტრატეგიული მიზნის შესაბამისი დასკვნა და განხორციელების გზები.

შესრულების ინდიკატორები: შესაბამისობაში (მომზადებული ანგარიშები, ოქმი).

მიზანი 7. კოლეჯის ცნობადობის გაზრდაზე ზრუნვა

ამოცანა 1. 2022 წლის მიღებისათვის სტუდენტების მოსაზიდად ღონისძიებების ორგანიზება

პროფესიულ სტუდენტთა 2022 წლის მიღებისათვის მიღებისათვის მომზადდა საინფორმაციო ბუკლეტები და ვიდეო რგოლი, კოლეჯის სოციალურ გვერდზე facebook - გვერდზე განთავსდა პროფესიული სპეციალობების სარეკლამო პრეზენტაციები. ყოველკვირეულად მიმდინარეობდა სატელეფონო, ონლაინ ან პირისპირ რეჟიმში კონსულტაცია სწავლის მსურველთათვის პროფესიის არჩევის საკითხებზე, პროფესიული პროგრამების, სასწავლო პროცესის, რეგისტრაციის დაწყების, ჩარიცხვის წესის, ჩარიცხვაში ცვლილებების შეტანის, ჩასაბარებელი ტესტის, ტესტირების, მოტივაციური გასაუბრების, საგამოცდო ბარათების, ტესტის შედეგების, ჩასარიცხი აპლიკანტების სიის, მეორადი რეგისტრაციის, ვაკანტური ადგილების, წარსადგენი დოკუმენტაციის შესახებ.

1. საგანმანათლებლო რესურსცენტრების ხელშეწყობით განხორციელდა გასვლითი საინფორმაციო შეხვედრები რეგიონის საჯარო სკოლების საბაზო და დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებთან (მე-9, მე-10, მე-11, მე-12), სკოლის მასწავლებლებსა და ადმინისტრაციის წევრებთან, რაზედაც მათ მიეწოდათ ინფორმაცია კოლეჯში არსებული დუალური, მოდულური, ინტეგრირებული და მოკლევადიანი მომზადება-გადამზადების პროგრამების შესახებ. კერძოდ:
   - სოფლის მეურნეობა (ვეტერინარია, მეხილეობა, მევენახეობა, მებაღეობა, სატყეო საქმე, მეფუტკრეობა, მებოსტნეობა);
   - წარმოება (მეღვინეობა, რძის პროდუქტების წარმოება, ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავება, სასმელების წარმოება);
   - მომსახურებები (კულინარიის ხელოვნება, სასტუმრო მომსახურება, თმის მომსახურება, სამკერვალო წარმოება, ელექტროობა);
   - ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიები (ინფორმაციის ტექნოლოგია, კომპიუტერული ქსელები და სისტემები);
   - ბიზნესი (ბუღალტრული აღრიცხვა);
   - გამოყენებითი ხელოვნება (ხის მხატვრული დამუშავება);

2. 2022 წლის 30 მაისიდან 2 ივნისს ჩათვლით, კოლეჯში გაიმართა „ღია კარის დღე„ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელი ქსნის, სოფელ მუხრანის, სოფელ საგურამოს და სოფელი ქსოვრისის საჯარო სკოლის მოსწავლეებისა და პედაგოგებისთვის. მოსწავლეები გაეცნენ კოლეჯში არსებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, ინფრასტრუქტურასა და მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა სახის პროფესიულ აქტივობებში;
3. 2022 წლის 31 მაისს და 1 ივნისს კოლეჯის დაბა სტეფანწმინდის სასწავლო კორპუსში გაიმართა „ღია კარის დღე“ სტეფანწმინდის N1 და სიონის N1 საჯარო სკოლის მოსწავლეებისთვის და პედაგოგებისთვის;
4. 2022 წლის 1 ივნისს კოლეჯის დაბა თიანეთის სასწავლო კორპუსში გაიმართა „ღია კარის დღე“ სოფელ ხევსურთსოფლის, დაბა სიონის, სოფელ ნაქალაქარის, სოფელ ღულელების, სოფელ სიმონიანთხევის საჯარო სკოლის მოსწავლეებისთვის და პედაგოგებისთვის;
5. 2022 წლის 7 ივნისს ქ. დუშეთში გაიმართა „ღია კარის დღე“ ქალაქ დუშეთის N1 და N2 საჯარო სკოლის მოსწავლეებისთვის და პედაგოგებისთვის;
6. 2022 წლის 1 აგვისტოს კოლეჯის სოფ. წინამძღვრიანთკარის ძირითად სასწავლო კორპუსში ჩატარდა ღია კარის დღე. ღონისძიებას ესწრებოდნენ: მცხეთის რაიონის მოსახლეობა, რესურსცენტრი და სკოლების წარმომადგენლები, პარტნიორი ორგანიზაციები, დამსაქმებლები, კოლეჯის ადმინისტრაციის თანამშრომლები, მასწავლებლები და კურსდამთავრებულები. ადგილზე მიმდინარეობდა აპლიკანტთა რეგისტრაციის პროცესი. ღია კარის დღის ჩატარების მიზანს წარმოადგენდა დამსწრე საზოგადოებისთვის პროფესიული პროგრამების გაცნობა, კოლეჯის ინფრასტრუქტურისა და სასწავლო - პრაქტიკული ობიექტების გაცნობა-დათვალიერება;
7. 2022 წლის 2 აგვისტოს თიანეთის ფილიალში ჩატარდა ღია კარის დღე. ადგილზე მიმდინარეობდა აპლიკანტთა რეგისტრაციის პროცესი;
8. 2022 წლის 3 აგვისტოს სტეფანწმინდის ფილიალში ჩატარდა ღია კარის დღე. დღე. ადგილზე მიმდინარეობდა აპლიკანტთა რეგისტრაციის პროცესი;
9. კოლეჯში მიმდინარე პროფესიული პროგრამების თაობაზე ინფორმაცია გამოქვეყნდა გაზეთ „ახალი განათლების“ სპეციალურ ნომერში „აირჩიე სად ისწავლი“;
10. თბილისის მეტროპოლიტენში განთავსდა კოლეჯის პროფესიული პროგრამების სარეკლამო-საინფორმაციო აბრები;
11. ტელე-რადიო კომპანია "თრიალეთი"-ს სატელევიზიო ეთერში განთავსდა პროფესიული პროგრამების სარეკლამო ”მორბენალი სტრიქონი“.

შესრულების ინდიკატორები: მეტწილად შესაბამისობაში (ფოტო-ვიდეო მასალა; აპლიკანტთა გამოკითხვა, გაფორმებული ხელშეკრულებები)

ამოცანა 2. პროფორიენტაციული აქტივობების განხორციელება, პროექტებში მონაწილეობის მიღება

- ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ კოლეჯის სტუდენტებისათვის

ჩატარდა ტრენინგი - „სწავლა სწავლების თანამედროვე მიდგომები პროფესულ განათლებაში და პროფესული სტუდენტების მიღწევები, შედეგები“;

- კოლეჯმა აქტიური მონაწილეობა მიიღო “პროფესიული განათლების მიტოვების“ კვლევის შედეგების პრეზენტაციის წარსადგენ ღონისძიებში. აღნიშნული კვლევა ჩატარდა ევროკავშირის პროექტის „ტექნიკური მხარდაჭერა შრომის ბაზრის საჭიროებებსა და დასაქმებაზე მორგებული ცოდნა-უნარების განვითარებისათვის“ ფარგლებში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და პროფესიული უნარების სააგენტოს მხარდაჭერით;
- კოლეჯის მიერ ინიცირებულ იქნა შეხვედრა კოლეჯის სტუდენტებთან, სადაც გაეცნენ კოლეჯის შინაგანაწესს, სტუდენტის უფლება-მოვალეობებს და კოლეჯში არსებულ სტუდენტურ სერვისებს, კარიერის სწორად დაგეგმვის შესაძლებლობებს;
- კოლეჯის სოციალური გვერდის საშუალებით თავსდებოდა ინფორმაცია სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთათვის შრომით ბაზარზე არსებული ვაკანსიების შესახებ;
- კარიერის დაგეგმვის მიზნით, დამამთავრებელი ჯგუფის სტუდენტებს გაეწიათ კონსულტაციები ეფექტური CV-ის შედგენაში;
- კოლეჯმა მონაწილეობა მიიღო კერძო კოლეჯების ასოციაციისა და დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს მიერ ინიცირებულ „პროფესიული დასაქმების“ ფორუმში. წარდგენილი იქნა კოლეჯის პროფესიული პროგრამების სტუდენტთა ნამუშევრები;
- პროფორიენტაციისა და ცნობადობის გაზრდის მიზნით კოლეჯს ეწვივნენ სსიპ ვლადიმირ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის N199 საჯარო სკოლის და სსიპ ქ. თბილისის N31 საჯარო სკოლის მოსწავლეები. ადგილზე გაეცნენ კოლეჯის პროფესიული პროგრამების კაბინეტ-ლაბორატორიებს;

შესრულების ინდიკატორები: შესაბამისობაში (ფოტო-ვიდეო მასალა).

ამოცანა 3. საზოგადოებასთან ურთიერთობის ღონისძიებების ხელშეწყობა (სოციალური გვერდისა და ვებ-გვერდის აქტიური გამოყენება, მედიასთან ურთიერთობა და სხვ.)

2022 წლის 8 ოქტომბერს ილია წინამძღვრიშვილის კოლეჯმა აღნიშნა კოლეჯის დამაარსების ინიციატივით ილია წინამძღვრიშვილის მეუღლის ოლღა არღუთაშვილის სახელობითი დღე „ოლღაობა“. ღონისძიებაზე მოწვეული იყვნენ განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე, პროფესიული უნარებიის სააგენტოს გენერალური დირექტორი, დონორი ორგანიზაციები: UNDP და GIZ, კოლეჯის პარტნიორი ორგანიცაზიების წარმომადგენლები, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და ახლად ჩარიცხული სტუდენტები ასევე სოფლის მოსახლეობა. სადღესასწაულო ღონისძიება ატარებდა საზეიმო ხასიათის სხვადასხვა აქტივობებს. ასევე წარმოდგენილი იყო სსიპ - კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“-ს, ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯი „იკაროსი“-ს და სსიპ კოლეჯი „მერმისი“-ს სტუდენტების ნაკეთობები და კულინარიული კერძები. ჩატარდა მასტერ კლასები და პრეზენტაციები. სტუმრები გაეცნენ პროფესიული

განათლების წლის პროექტებს. კოლეჯის საპატიო წევრებს გადაეცათ სამახსოვრო სიგელები;
2022 წლის 22 ოქტომბერს ქალაქ დუშეთში გაიმართა სახალხო დღესასწაული „დუშეთობა -მთაბარობა“. აღნიშნულ ღონისძიებაზე სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯმა, როგორც რეგიონში არსებულმა ერთადერთმა პროფესიულმა სასწავლებელმა, საგამოფენო სივრცეში წარადგინა პროფესიული სპეციალობების შესაბამისი ნამუშევრები, კერძოდ: ხილისა და ბოსტნეულის კონსერვები, ალკოჰოლური და უალკოჰოლო პროდუქცია, მშრალი ხილი, თაფლი, სამკერვალო საქმის და საინჟინრო დარგის სტენდები. გამოფენამ დამსწრეთა შორის დიდი ინტერესი გამოიწვია. სწავლით დაინტერესებულთა და კოლეჯის ადმინისტრაციას შორის. გაიმართა საკითხების დეტალურად განხილვა კითხვა- პასუხის რეჟიმში;
2022 წლის 10-12 ივნისს „ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების მე-14 საერთაშორისო გამოფენაზე“ კოლეჯმა წარადგინა საკუთარ ვენახებში მოყვანილი ყურძნის სხვადასხვა ჯიშებიდან დამზადებული როგორც თეთრი, ასევე წითელი ღვინოები, სხვადასხვა ტკბილი ნუგბარი. კოლეჯის საიმიჯო სტენდმა დიდი ინტერესი გამოიწვია დამთვალიერებლებსა და მეღვინეებს შორის. გამოფენაში მონაწილე პროფესიული მასწავლებლები და სტუდენტები გაეცნენ მეღვინეობა-მევენახეობის დარგის სიახლეებს, ინოვაციებს და ღვინის მრეწველობის განვითარების ტენდენციებს;

გერმანიასა და საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობის 30 წლის იუბილეს ფარგლებში საქართველოს ოფიციალური ვიზიტით გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური მინისტრი სვენია შულცე ესტუმრა. მინისტრმა გერმანული მხარის დელეგაციასთან, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილესთან, ვალერიან გობრონიძესთან და პროფესიული უნარების სააგენტოს გენერალურ დირექტორთან, თამარ ქიტიაშვილთან ერთად, ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯი მოინახულა და ადმინისტრაციის წარმომადგენლებს შეხვდა. შეხვედრის ფარგლებში, მხარეებმა საქართველოში პროფესიული განათლების მნიშვნელობაზე და რეფორმის პროცესში გერმანული მხარის ჩართულობაზე ისაუბრეს. ქართული მხარის წარმომადგენლებმა მინისტრს საქართველოს უძველესი კოლეჯის ისტორია და აღნიშნული კოლეჯის მაგალითზე, რეფორმის შედეგად მიღწეული შედეგები გააცნეს. აღსანიშნავია, რომ გერმანულ-ქართული თანამშრომლობის განსაკუთრებულ სფეროს სწორედ დუალური პროფესიული განათლება წარმოადგენს, 2016 წლიდან გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ) ჩართულია პრაქტიკაზე ორიენტირებული განათლების განვითარებაში მეღვინეობის, ტურიზმის, ლოჯისტიკისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების დარგებში.
შესრულების ინდიკატორები: შესაბამისობაში (კოლეჯის ვებ-გვერდი, ფოტო-ვიდეო მასალა).